პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩიორაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

## დღიური

— ესპანელი ვაჭრები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას.
— ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია მოუწოდებს მუშებს მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირს.
— მაროკოში გრძელდება სერიოზული ბრძოლები.
— მექსიკაში რეაქციონერები-გენერლები აჯანყებას ამზადებდენ.
— ბულგარეთში გრძელდება მშრომელთა მასიური დაპატიმრება და ხოცვა-ჟლეტა.

ოთხშაბათი, 27 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 119 (1274)

„კომუნისტი“

ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ. 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მანეთი
პროვინციაში—1 მ. 20 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ივნისისათვის

## როგორ ირთობენ თავს ქართველი მენშევიკები უცხოეთში

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ „ახალი საქართველო“-ში დაბეჭდილ, მენშევიკური პარტიის ძველი წევრის და აქტიური მუშაკის, ვანო ალიხანიშვილის განცხადებას „პარიზის ქართველთა საზოგადოების გამგეობის“ მიმართ. როგორც თვითონ წერს, ალიხანიშვილი მოითხოვდა თეთრგვარდიელ ქართველ ემიგრაციისაგან ჟორდანიას „მთავრობის“ გასამართლებას, გადაყენებას და პასუხისგებაში მიცემას—ყველა იმ დანაშაულობათათვის ქართველი ხალხის წინაშე, კერძოდ შარშან მომხდარ მენშევიკურ ავანტიურისათვის, რომელთა სულის ჩამდგმელი ის იყო.

ნათქვამია, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, და თეთრი ემიგრაცია, რომელსაც წილი უდევს ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკაში, აბა როგორ დასვამდა მათ საბრალმდებლო სკამზე. ამას მოიმოქმედებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მთელ თავის წარსულ „მოღვაწეობას“ შეცდომად და დანაშაულობად აღიარებდა. მაგრამ კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის მეთაურები ავგისტოს ავანტიურის შემდეგაც „ერთი და იმავე ადგილზე“ — დგანან. მათ უმჯობესად მიაჩნიათ „თავის ცუდ საქციელსა და ცუდ კაცობაზე“ ჯერჯერობით გაჩუმება „ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის გამო“ და საერთო ფრონტის შენარჩუნება ბრძოლის გასაგრძელებლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. კიდევ მეტი: უცხოეთში გადახვეწილი კონტრრევოლიუციონური ხროვა უფრო მაგრად კრავს ამ ერთიან ფრონტს. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ ჟორდანიას ავგისტოს „აჯანყების“ შემდეგ შეუდგენია ახალი „კოალიციონური მთავრობა“, რომლის შემადგენლობაში შესულან გარდა მენშევიკებისა, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტების და ესერების წარმომადგენლები. მათ უფიქრიათ: თუ საქართველოში, მენშევიკების ბატონობის დროს, არ გვეღირსა მინისტრობა, ეხლა მაინც ავისრულოთ გულის წადილი, საქართველოდან გატაცებულ სიმდიდრიდან „მინისტრულ“ ჯამაგირს ხომ მივიღებთო. სხვა არა იყოს, თავის გამასხარავება ამაზე შორს ვერ წავა.

რა მიზანს ისახავს ეს „კოალიციონური მთავრობა“? ალიხანიშვილი სწერს: „ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილის „მთავრობა“ თავიანთი ახალი „კოალიციონური სამინისტრო“-თი საქართველოში ამზადებს ახალ ავანტიურას“-ო. რომ ჟორდანიებს არ შეუწყვეტიათ ოცნება თავიანთი ბატონობის დაბრუნებაზე და საქართველოს „გაბედნიერებაზე“ „დემოკრატიული რეჟიმით“, ხალხის „სუვერენიტეტის აღდგენით“,—ეს ცნობილია. ჩვენ წინ ძევს ჟორდანიას ბროშიურა: „რა მოხდა“, რომელიც „აშუქებს“ ავგისტოს ავანტიურას. ჩვენ ამ „გამოკვლევას“ სხვა დროს შევეხებით. მხოლოდ აქ უნდა აღვნიშნოთ: ბ. ჟორდანია ურჩევს თავის მრევლს“ (ერთი კითხეთ ამ გაუბედურებულ ადამიანს—სად 'ყავს მას მოძღვლი!)—„სამხედრო“ მოქმედებისაგან თავი უნდა შევიკავოთ, გაღებული მსხვერპლი გვეყო, საჭიროა აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა, ძალების მოკრება, მასსების დარაზმვა სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ (ე. ი. კონტრრევოლიუციონურ დროშის ქვეშ) და იმ მომენტის ლოდინი, როცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა გართულდება. ვერ ვიტყვით, დასძენს ის, რომ ქართველ ხალხს ხმლის ამოღება კვლავ არ დასჭირდება, როცა ამისათვის ხელსაყრელი დრო დადგებაო.

მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო და ჟორდანიაც ეძლევა ტკბილ ფანტაზიას იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება განმარტოვებულია მსოფლიოსაგან და შიგნით ხალხი მის წინააღმდეგაა“ ამხედრებულიო: მას არ უნდა დაინახოს საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებანი საერთაშორისო ფრონტზე, იგი თვალებს იბრმავებს და ვერ ამჩნევს, რომ მთელი მშრომელი მოსახლეობა აქტიურად უჭერს მხარს საბჭოთა ხელისუფლებას და მზად არის იარაღით ხელში დაიცვას მუშურ-გლეხური წყობილება რაიმე საფრთხის შემთხვევაში. კერძოდ საქართველოს მშრომელმა ხალხმა კარგა ხანია შეაფურთხა ბ. ბ. ჟორდანიებს, დაასამარა ისინი და მძიმე ლოდი დაადვა.

თუ რამდენად „უკმაყოფილოა“ ქართველი ხალხი არსებული წყობილებით, ამას ვხედავთ არა მარტო ჩვენ, ხედავენ უცხოელი მიუდგომელი მეთვალყურენიც, როგორც, მაგ., პერსელის კომისია, ან ამას წინედ ჩამოსული გლეხთა ინტერნაციონალის წარმომადგენელნი. მაგრამ სინამდვილის დანახვა არ არის სასიამოვნო ჟორდანიებისათვის და იმათ სხვა არაფერი დარჩენიათ, თუ არ თავის „დანუგეშება“ ზღაპრებით.

საქართველოს მშრომელ ხალხს არ სცალია ყური უგდოს ამ ზღაპრებს. მათ მან კარგა ხანია კბილი გაუსინჯა. იგი თავის ხელისუფლებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ჩაბმულია უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობაში თავისი ბედნიერი მომავლის შესაქმნელად. ხოლო ჟორდანიას „კოალიციონური მთავრობა“ დარჩება სასაცილო კურიოზად.

## ომი მაროკოში

### (ანუ „დაჩაგრული“ იმპერიალისტები და „დამჩაგვრელი“ მაროკელები)

ერთი ფრანგული გაზეთის პირველი წერილი ასე თავდება: **საფრანგეთის რესპუბლიკა მოახერხებს დაიცვას თავი რიფელების შემოტევისაგანო.**

კაცი, რომელიც „ყურში ზის“ და ქვეყნის ამბები არ გაეგება, იფიქრებს: რიფელებს დესანტი გადმოუსხამთ მარსელში, შესევიან საფრანგეთს და პირდაპირ პარიზზე მიდიან ასაღებათო. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. რიფელები **თავის საკუთარ ქვეყანაში,** რიფში (მაროკო) არიან, მარსელი და პარიზი მათ შორის მხოლოდ რჩეულ ერთეულებს თუ უნახავთ, შესევა საფრანგეთზე სიზმრათაც არ უხილავთ. პირიქით, ფრანგები არიან, საფრანგეთის რესპუბლიკის, საფრანგეთის იმპერიალისტების ჯარები არიან რომ სთელავენ ჩრდილოეთ აფრიკას, მაროკოს და კერძოდ მის იმ ნაწილს, რომელსაც რიფელების რესპუბლიკა ეწოდება, რიფელთა ტომით არის ის დასახლებული. **მარტო ეს ერთი ფაქტი სრულიად საკმაოა, რომ მიხვდე ვინ ვის უტევს, ვინ უნდა დაიცვას თავი შემოტევისაგან.** მხოლოდ უსაზღვრო ცინიზმი, მხოლოდ პირწავარდნილი დემაგოგია ბურჟუაზიული და იმპერიალისტური პრესის ხატავს მდგომარეობას ისე, რომ აფიქრებინოს საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიას თითქოს „საწყალი“ საფრანგეთის რესპუბლიკა იცავს თავს, იცავს „სამშობლოს“, ამ „საშინელი“ და „ვერაგული“ „მოძალადე“ რიფელებისაგან.

რასაკვირველია, იმპერიალისტური გაზეთების მიერ დახატული სურათი ერთი დიდი „ოცობოდია“ და ჭორია. საქმის ნამდვილი ვითარება სულ სხვანაირია. ის ასეთია:

მაროკო მდიდარი ქვეყანაა, მდიდარი მადნეულობით და ნოყიერი მიწით. არიან ქვეყანაზე იმპერიალისტები, რომლებსაც უყვართ ერთიც და მეორეც. ამიტომ შეესიენ მას. გაჩნდენ იქ ფრანგები და ისპანელები და იწყეს „მუშაობა“. მაგრამ მგლებმა მალე ერთმანეთს დაუწყეს ღრენა. ხოლო, ვინაიდან თვით მაროკოელებს ეს მხეცები თავიდანვე არ მოსდიოდათ ჭკუაში, ორივეს წინააღმდეგ ამხედრდენ. ამ გარემოებამ და კიდევ იმან, რომ ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ, მათ 1912 წელში მაროკო გაიყვეს ეგრედ წოდებულ „გავლენის სფეროებათ“. ერთ ნაწილში დარჩენ ფრანგები, მეორეში ისპანელები. სხვათა შორის რიფი ერგო ისპანელებს, რომლებიც იქ დიდი ხანია „მუშაობდენ“.

ისპანელ კაპიტალისტთა ერთი საზოგადოება იქ ამუშავებდა მადნებს. ერთხელ მაღაროებში მოხდა „ჩვეულებრივი“ უბედურება, რომელმაც იმსხვერპლა მუშები, თითქმის ყველა ადგილობრივი მოსახლეები. დაზარალებულების ოჯახებმა და მუშებმა მოითხოვეს კანონიერი ანაზღაურება. ამაზე ისპანელებმა უარი განაცხადეს. ამ ნიადაგზე მოხდა გაფიცვა, გაფიცვას მოჰყვა შეტაკება ისპანელებთან, ამ შეტაკებამ კი, თავის მხრით, გამოიწვია ისპანიის ჩარევა. ალფონს მეფემ ჯარი გაგზავნა რიფელების „შემოტევისაგან“ ისპანეთის „სამშობლოს“ დასაცავათ, ე. ი., ჩვენებურათ რომ ვთქვათ, **ისპანელ კაპიტალისტების დასაცავათ.** განსაკუთრებით ამ დროიდან მოყოლებული შეტაკება ისპანელებსა და რიფებს შორის არ შეწყვეტილა. შარშან მან მიიღო რეგულიარული ომის ხასიათი და რიფელებმა აბდ-ელ-ქერიმის მეთაურობით დაამარცხა ისპანეთი და პრიმა-დე-რივერა, ისპანიის დიქტატორი, როგორც გუშინდელი ტელეგრამები გადმოგვცემენ, შერიგებას სთხოვს რიფელებს.

ასე გაიმარჯვეს რიფელებმა ისპანელებზე.

მაგრამ მათ ესაზღვრებათ ფრანგების „გავლენის სფერო“ და ამნაირად მათ წინ, ისპანელებზე გამარჯვებულ რიფების წინ, აიტუზა გენერალი ლიოტე, რომელიც იცავს საფრანგეთს... მაროკოში. დაიწყო ახალი ფურცელი რიფელების გმანთავისუფლებელ ისტორიაში.

აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. როგორც დღეს ირკვევა, 1923 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ე. ი. მაშინ პუანკარეს, გამოუძახებია რიფიდან რიფელების მითაური აბდ-ელ-ქერიმი და **დაპირებია მას დახმარებას ისპანელების წინააღმდეგ.** დახმარებია კიდევაც. როგორც ირკვევა, პუანკარეს გეგმა ყოფილა ასეთი: დავეხმარები რიფელებს, ესენი გაწმენდენ რიფს ისპანელებისაგან, შემდეგ შევესევით და ჩვენ ჩავიგდებთ ხელში რიფელების ქვეყანას, რომელიც 1912 წლის შეთანხმების თანახმად ისპანიის გავლენის სფეროში მოყვაო. **ამნაირად იმ დროს, როდესაც რიფელები ფრანგების დახმარებით, ფრანგების იარაღით, თოფებით, ტყვიისმფრქვევლებით და ტყვიით და წამლით ისპანელებს ერეკებოდენ თავისი სამშობლოდან, სწორედ ამ დროს საფრანგეთის გენერალი ლიოტე სისტემატიურ მზადებაში იყო იმ ომისთვის, რომლებიც ახლა დაიწყო მაროკოში რიფების წინააღმდეგ. გამოდის, რომ ახლა რიფელები ეომებიან ფრანგებს იმ იარაღით, რომელიც ერთ დროს საფრანგეთმა გაუგზავნა რიფელებს ისპანელების დასამარცხებლათ.**

მაგრამ აქ ირკვევა კიდევ ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი, რომელზეც ჩვენ ხაზგასმით გვსურს მივაქციოთ ამხანაგ მკითხველების ყურადღება.

ირკვევა, რომ აბდ-ელ-ქერიმს დღესაც, როდესაც მას საფრანგეთმა გამოუცხადა ომი, მისდის იარაღი... თქვენ იფიქრებთ ვისგან და საიდან? **თვით საფრანგეთიდან და ფრანგებისაგან.**

ერთი ფრანგული რეაქციონური გაზეთი **„ჟურნალ დე დება“** სწერს შემდეგს: „იარაღის კონტრაბანდა რიფების ნაპირებზე იღებს ფართო ხასიათს. თუ, როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, იმ გემებზე, რომლებზეც რიფელებისთვის იარაღი მიაქვთ, ფრანგული დროშები ფრიალებენ,—ჩვენ მოწამე ვხდებით გაუგონარი სკანდალის, რომელიც მით უფრო მიუტევებელია, რომ აბდ-ელ-ქერიმის განძრახვა საფრანგეთის მიმართ დიდი ხანია ცნობილია“.

ამნაირათ არა გერმანია და „მოსკოვი“ (რაზედაც დემაგოგიურათ ყვიროდენ ფრანგები), არამედ თურმე თვით **საფრანგეთის ფირმები აწვდიან იარაღს რიფელებს ფრანგი სალდათების დასახოცათ.** აი როგორ იცავს „სამშობლოს“ საფრანგეთის ბურჟუაზია, საფრანგეთის იარაღის დამმზადებელი ფირმები. მათი ადათით ისინი გასამტყუნარი არ არიან. როგორც ირკვევა, ლიოტე პირადი მონაწილეა იმ პარიზის ბანკების, რომლებიც „მუშაობენ“ მაროკოში და იმუშავებენ რიფში, თუ დაიპყრეს მათ ეს ქვეყანა. საფრანგეთის იარაღის დამმზადებელი ფირმები კი, რომლებიც ამ ბანკების მონაწილენი არ არიან, ცდილობენ ხელი მოითბონ, იარაღის გაყიდვით მაინც ირგონ რამე, თუ გინდ მათი იარაღით იხვრიტებოდეს მათივე „თანამემამულეების“, საფრანგეთის სალდათების თავები. ერთი კვირა არ გაივლის, რომ საფრანგეთის რეაქციამ კომუნისტებს არ წაუყენოს ბრალდება „სამშობლოს ღალატში“. ხოლო როდესაც ამ ღალატს მართლა აქვს ადგილი კაპიტალისტების მხრივ, რეაქციონური გაზეთი ამას უძახის მხოლოთ „სკანდალს“ და საქმე ამით თავდება.

ასეთ პირობებში სწარმოებს ომი მაროკოში.

ამ ომისთვის ორი წელიწადია ემზადება საფრანგეთის იმპერიალიზმი. ის ჩადგა მაროკოში და იპყრობს ჯერ დაუპყრობელ ხალხებს, ხელში იგდებს მათ სიმდიდრეს. ხოლო მისი პრესა ქვეყანას აყრუებს ყვირილით რიფელების შემოტევისაგან თავს ვიცავთო. იტყვიან: „Медведь корову дерет и сам же ревет“. (დათვი ძროხას ბდღვნის და თვითონვე ბურტყუნობს).

მაგრამ რიფელები და აბდ-ელ-ქერიმი მარტო არ არიან თავის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის. მისკენ არის მთელი ისლამის ქვეყნები. უკანასკნელმა ისლამის კონგრესმა ინდოეთში, რომელზეც დაესწრენ ორი ათასზე მეტი დელეგატი ყველა ქვეყნებიდან, სოლიდარობის გრძნობა გამოუცხადა რიფელებს. ამნაირად ამხედრებს იმპერიალიზმი დამონებულ კოლონიებს და ნახევრად კოლონიებს თავის წინააღმდეგ. საუკეთესო აგიტატორი კომუნიზმისათვის არის ამიტომ თვით იმპერიალიზმი.

რიფელების მხარეზეა დღეს ყოველივე, რაც არის პატიოსანი და რევოლიუციონური მთელ მსოფლიოში.

კერძოთ საფრანგეთში ფართო აგიტაციას აწარმოებენ კომუნისტები მთავრობის წინააღმდეგ. ხოლო მენშევიკებმა პარლამენტში თავი შეიკავეს (აი გამბედაობა, აი სოციალისტები!!) **როდესაც სდგებოდა საკითხი გენერალ ლიოტეისათვის მილიონების მისაცემად.**

დაპყრობილ და დამონებულ კაცობრიობას ერთად-ერთი გულწრფელი მეგობარი ჰყავს. ეს არის რევოლიუციონური პროლეტარიატი და მისი პარტია, კომუნისტური პარტია, კომუნისტური ინტერნაციონალი.

## „კონსერვატიული დემოკრატია“

### „პრავდა“-ს წერილი

**მოსკოვი.** 26 მაისი. „პრავდა“ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის ხიქსის ცნობილი სიტყვის შესახებ, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სწერს შემდეგს:

„მამაცი, მებრძოლი და გაბედული მისტერი ხიქსი მოუწოდებს ენერგიული პასუხისაკენ; ის ემფატიურათ აღნიშნავს „ნამდვილი ძალების“ მობილიზაციის აუცილებლობას კომუნიზმისა და მოსკოვის წინააღმდეგ.

ლონდონში, ალბათ, გამოიძებნება არა ერთი საზოგადოება, რომელიც მიზნათ ისახავს ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ ანდა სურვილს სამი ტყავი გააძროს საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს მეფის ვალებისათვის. ლონდონში არა ერთხელ იკრიბებიან ინტერნაციონალური კაპიტალისტური კონსორციუმების ბელადები: ლონდონში ხშირათ იკრიბება მეორე ინტერნაციონალის ელმასკომი. ერთი სიტყვით, ათასგვარი საზოგადოებები ყველა ქვეყნებში პროპაგანდას ეწევიან საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. მაგრამ, ჩვენ ეს არ გვაბრაზებს. ჩვენ არ მოვითხოვთ ამ ორგანიზაციების დახურვას ჩვენ მშვენივრათ გვესმის, რომ ასეთი მოთხოვნა სისულელე იქნებოდა, მით უმეტეს, თუ ის მიმართული იქნება კაპიტალისტური მთავრობის მიმართ.

ხიქსის განცხადება იმის შესახებ, რომ ინგლისი „აივსო“ რუსებით რომლებიც ვაჭრობის ქვეშ კომუნისტურ პროპაგანდას ეწევიან, თეთრი ძაფებით არის მეკერილი. მისი ტენდენცია „აკრძალული“ იქნეს ისე მსჯელობა, როგორც არ მოსწონს მისტერ ხიქს, ნამდვილათ არის დემოკრატიული კონსტიტუციის დარღვევა.

ერთხელ კიდევ მტკიცდება საზოგადოებრივი განვითარების კანონი: როდესაც ბურჟუაზიას ეშინია მუშათა კლასის, ის სცდილობს ხელი წაუჭიროს ყელში თავის „დემოკრატიას“, რომ იგი შესცვალოს უფრო დიქტატორული რეჟიმით. ინგლისის ბურჟუაზიის მიერ მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში იმ მინისტრების მებრძოლი სიტყვების ახსნის გასაღები რამოიმებმაც გონება დაკარგეს“.

# საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

## მუსოლინი იცავს იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმებას

**რომი,** 25 მაისი. იმ კამპანიის გამო, რომელიც გააჩაღა ფაშისტური პრესის ერთმა ნაწილმა იტალია საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, ოფიციოზური „ოჯენცია დი რომა“-მ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

**„იტალიის დიპლომატიურ წრეებში იტალია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების კრიტიკას სთვლიან გადაჭარბებულად,** ეს კრიტიკა არ შეეფერება იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნამდვილ მდგომარეობას. იტალია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს პირველ ხელშეკრულებას, რომელიც დასდო საბჭოთა კავშირმა დიდ სახელმწიფოსთან, შემუშავებული იყო არა იმიტომ, რომ მისგან მოელოდენ დაუყოვნებლივ ეკონომიურ სარგებლობას, არამედ იმიტომ, რომ მისი დადების გზით უნდა გამოგვერკვია ურთიერთობა იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის და დაგვეჭირა ეკონომიური პოზიციები, რომლებიც მნიშვნელოვანია იტალიისათვის მომავალში. ამიტომ ხელშეკრულება განხილული უნდა იქნეს არა დღევანდელი დღის თვალსაზრისით, არამედ ევროპის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მის კომერციულ მხარეს, იტალიის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავდენ, რომ საბჭოთა კავშირის და იტალიის ეკონომიური სტრუქტურის ღრმა განსხვავების გამო, ის არ შეიძლება შედარებული იქნეს სხვა რომელიმე სავაჭრო ხელშეკრულებასთან.

**ყოველივე ამის გამო, იტალიის დიპლომატიურ წრეებში იტალია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას უსაფუძვლოდ სთვლიან.**

## ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ

### ინგლისის მუშები საბჭოთა კავშირის ინტერესების სადარაჯოზე

**ლონდონი.** 25 მაისი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობა ხელსუშლის ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას და რომ მთავრობის პრესის კამპანია მიზნად ისახავს უნდობლობის და მტრული დამოკიდებულების გაძლიერებას საბჭოთა კავშირის მიმართ. **რეზოლიუცია მოუწოდებს ინგლისის მუშებს წინააღუდგენ ამ ზრახვებს, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირის მონათვლა მთელი მსოფლიოს მტრად.**

## სავაჭრო ურთიერთობა ესპანეთთან

**ლენინგრადი.** 25 მაისი. ქალაქ ბარსელონის (ესპანეთი) კომერსანტების საზოგადოებამ განუცხადა ჩრდილოეთ დასავლეთის საოლქო სავაჭრო პალატას, რომ მას სურს **დაამყაროს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.**

## მიუნხენის მუშათა დელეგაცია მოემზავრება საბჭოთა კავშირში

**ბერლინი,** 25 მაისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, მიუნხენის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენარულმა კრებამ **დაადგინა გაგზავნოს საბჭოთა კავშირში კომისია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლებისაგან.** კომისიას ევალება რუსეთის მუშების და გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევა.

## მაროკოს ამბები

### მტაცებლების შეთანხმება

**ლონდონი.** 25 მაისი. „დეილი ტელეგრაფ“-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მიღწეულია შეთანხმება მაროკოს შესახებ.

### მალვი კმაყოფილია

**პარიზი,** 25 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მალვიმ თავის ამხანაგებთან საუბრის დროს პარლამენტში განაცხადა, რომ მასზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მადრიდში მოგზაურობამ. მალვის სიტყვით, მასზე დაკისრებული მისია მან შეასრულა და ესპანეთის მთავრობასთან მიღწეულია სრული შეთანხმება.

### მდგომარეობა ფრონტზე

**პარიზი,** 25 მაისი. „ტანჟერ“-ი რაბატიდან იტყობინება, რომ საფრანგეთის ხუთი პოსტი ტაუნ-მულაიენის რაიონში, რომლებსაც ყოველ დღე თავს ესხმოდენ რიფები, მიხსნილი იქნა იმ მიზნით, რომ მოქმედების მეტი თავისუფლება მიეცეს მფრინავ რაზმებს, რომლებიც იარაღს აწვდიდენ ზემოაღნიშნულ პოსტებს. კამპეს რაზმმა დახმარება მიიღო, რომ საშუალება ექნეს წინააღმდეგობა გაუწიოს მოწინააღმდეგეს, რომელსაც განზრახვა აქვს აიღოს კიფაკი.

### მდგომარეობის განხილვა დეპუტატთა პალატაში

**პარიზი,** 25 მაისი. პალატამ დაადგინა, შეკითხვა მაროკოს მდგომარეობის შესახებ განხილული იქნეს ოთხშაბათს, 27 მაისს.

### მთავრობის პოლიტიკის მოწონება

**პარიზი,** 25 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობებით, მემარცხენე ბლოკის პარლამენტარულმა ჯგუფებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ მთავრობას იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს საფრანგეთის ღირსება და უფლებები არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში და იმ მიზნით, რომ სიწყნარე ჩამოვარდეს რიფების საზღვარზე.

რესპუბლიკანური კავშირის ჯგუფმა სენატში დაადგინა ენერგიულათ მხარი დაუჭიროს იმ ღონისძიებებს რომელთა მიზანია რიფების აჯანყების სწრაფათ ჩაქრობა.

## ბულგარეთში მშრომელთა ხოცვა ჟლეტა გრძელდება

### ცანკოვის შურისძიება

**ვენა,** 25 მაისი. ბულგარეთის გაზეთები იუწყებიან, რომ პლევნაში, ნოვეცში, იაბლონიცაში და სხვა ადგილებში მოხდა მასიური დაპატიმრება. სოფიაში პოლიციამ ალყა შემოარტყა მუშათა უბანს და დაიწყო მასიური ჩხრეკა; **დაპატიმრებულია 50 კაცი. სტარა ზაგორაში დაპატიმრებულია 200 კაცი.**

უკანასკნელ დროს იტყობინებიან, რომ საშუალო სასწავლებლებში „აღმოაჩინეს“ რევოლიუციონური ორგანიზაციები. მაგალითად, პლევნაში დააპატიმრეს 20 მოწაფე. კრატცში პოლიციამ დამალა კომკავშირელების 6 ჯგუფი.

შემდეგ მრავალ ადგილებიდან იტყობინებიან, რომ **ხდება შეიარაღებული შეტაკებები შეიარაღებულ კომუნისტების ცალკე ჯგუფებსა და ჯარებს შორის. 10 მაისს სამხედრო რაზმი თავს დაესხა კომუნისტების ჯგუფს. ჯგუფის მეთაური სლადკოვი მოკლულია. ჯარისკაცებმა მოკლულს მოაჭრეს თავი, წამოაგეს ხიშტზე და გაატარეს ქალაქ პეტერიჩის ქუჩებში.**

ევარნნის და ხასკოვსკის ციხეებიდან მოდის საშინელი ცნობები თვითმკვლელობის შემთხვევების შესახებ.

## ავსტრია-გერმანიის გაერთიანების გარშემო

**ბერლინი.** 25 მაისი. დორტმუნდში ლებეს თავმჯდომარეობით და გერმანიის და ავსტრიის 60 ადგილობრივ ჯგუფის დელეგაციების მონაწილეობით შესდგა ავსტრია-გერმანიის სახალხო კავშირის სხდომა. კრებამ, რომელიც გამოდიოდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპსაგან, გამოიტანა რეზოლიუცია, **რომელიც მოითხოვს ავსტრიის და გერმანიის გაერთიანებას.**

ლებემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ვერსალის ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება მოთხოვნილებას ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შესახებ; ლებემ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ მუსოლინი ერევა ამ საკითხში.

## მღელვარება მექსიკაში

**მექსიკა,** 25 მაისი. მექსიკის მთავრობა თანდათან მეტ ნერვიულობას იჩენს. **გლეხების და რევოლიუციონური მუშების დაპატიმრებასთან** ერთად მთავრობა აპატიმრებს რეაქციონურ გენერლებს—დე-ლა-ხუერტას ყოფილ მომხრეებს. ამ დღეებში დააპატიმრეს მექსიკის ერთერთი გარეუბნის ქალაქის თავი, რომელსაც, პოლიციის ცნობებით, აღმოაჩნდა იარაღის საიდუმლო საწყობი და სხვა დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ რეაქციონერები შეთქმულებას ამზადებდენ პრეზიდენტ კალესის წინააღმდეგ.

## ჩინელ შავრაზმელ გენერლების თავგასულობა

### ამხ. კარახანის კატეგორიული მოთხოვნილება

**პეკინი,** 25 მაისი. როგორც ვიცით, კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე წარმოიშვა იმის გამო, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარემ ბაო-გუი-ცზინმა გააუქმა გზის უფროსის ივანოვის ბრძანება, რომლის მიხედვით დათხოვნილი უნდა ყოფილიყვნენ რკინის გზის ის მოსამსახურეები, რომლებიც არ ითვლებოდენ არც ჩინეთის და არც საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად, უმეტესად—რუსი თეთრგვარდიელები.

ამის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთში კარახანმა სასტიკი პროტესტი გაუგზავნა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს. კარახანი აცხადებს, რომ ბაო-გუი-ცზინის საქციელი უკანონოა და არღვევს საბჭოთა კავშირის და ჩინეთის შეთანხმებას. ის წარმოადგენს დახმარების გაწევას ბოროტმოქმედ მონარქისტულ ელემენტებისათვის, რომლებიც დღემდე მსახურობენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. ნოტა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონარქისტულ ელემენტებისათვის ასეთი მფარველობის გაწევა, რომელსაც ჩადის უმაღლესი მოხელე, დანიშნული ჩინეთის მთავრობის მიერ, წარმოადგენს იმ ინტერვენციონისტული პოლიტიკის გაგრძელებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 5 წლის წინ.

კარახანის ნოტა მოითხოვს: **ბაო-გუი-ცზინის განკარგულების გაუქმების და ყველა იმ მოსამსახურეების დათხოვნას, რომლებიც არ ითვლებიან არც ჩინეთის და არც საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად; დათხოვნილ უნდა იქნენ ის მოსამსახურეებიც, რომლებიც არ ემორჩილებიან გზის უფროსს და იმყოფებიან გამგეობის განკარგულებაში; აეკრძალოს ჩინეთის მოხელეებს რუს თეთრგვარდიელებისათვის მფარველობის გაწევა; გაწვეულ იქნას ბაო-გუი-ცზინი, რომელიც 9 თვის გამგეობაში ფაქტიურად არ შესდგომია თავის მოვალეობათა შესრულებას, და დაინიშნოს გზის გამგეობის ახალი თავმჯდომარე.**

### მანჯურია-ჩინეთის რეაქციის დასაყრდენია

**ხარბინი,** 25 მაისი. საბჭოთა კავშირის მოქალაქეების მდგომარეობა ხარბინში და მთელს მანჯურიაში დღითი-დღე უარესდება. ჩინელი გენერლები—შავრაზმელები სისტემატიურად ავიწროებენ მუშათა ორგანიზაციებს და საბჭოთა მოქალაქეებს. **პოლიცია მათ არ აძლევს კრების გამართვის ნებას და თუ სადმე გაიმართა კრებები, ერეკებიან მათ. მუშათა გაზეთი დახურეს. ახალი მუშათა ორგანოს გამოცემის ცდა უნაყოფოდ რჩება.**

თავი წამოუყეს ყველა თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებმა და რუს მონარქისტთა კავშირებმა. ეს ორგანიზაციები განსაკუთრებით გაათამამა გენერალ ბაოგუიცზინის განკარგულებამ რკინისგზის უფროსის ივანოვის ბრძანების გაუქმების შესახებ.

მანჯურია ამ ბოლო დროს წარმოადგენს რეაქციის დასაყრდენს ჩინეთის ჩრდილოეთით. ჩრდილოეთის რეაქციონურ ჯგუფს ყოველმხრივ მხარს უჭერენ იაპონელები, რასაც არ მალავენ თვით ჩინელებიც. ჩინეთის რეაქციონური გაზეთი „დუნსანშუნბაო“ 20 მაისის №-ში სწერს: „სულ უფრო და უფრო აშკარავდება მესამე სახელმწიფოს სურვილი დაუახლოვდეს ჩინეთს. ბრძანების გატარება თეთრების დათხოვნის შესახებ აიძულებს ჩინეთს შესწყვიტოს მეგობრობა რუსეთთან და დაუახლოვდეს მესამე სახელმწიფოს“.

# უკანასკნელი ცნობები

## ფაშიზმი ინგლისში

### თავდასხმა „სანდეი უორკერ“-ზე

**ლონდონი.** 25 მაისი. გლაზგოში ფაშისტები თავს დაესხენ მუშათა მემარცხენე ორგანოს „სანდეი უორკერ“-ის რედაქციის განყოფილებას და გაანადგურეს დიდძალი ლიტერატურა. ერთ-ერთი თავდამსხმელი, გვარათ მეკოლი, დაპატიმრებულია; დაკითხვის დროს მეკოლი გამოტყდა და განაცხადა, რომ ის შევიდა კომპარტიაში, როგორც ფაშისტების ჯაშუში.

## სამხედრო მოქმედებანი მაროკოში

**პარიზი,** 25 მაისი. ჰავასის სააგენტოს ფესიდან ატყობინებენ: ჯებალის ტომმა შეუტია ესპანელთა ხაზს ტახატოფის რაიონში. ჯებალები აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს ბრძოლაში უერგის ახლოს 700 კაცი მოკლულთა სახით.

## დემონსტრაცია ბელგრადში

**პრაგა,** 25 მაისი. სამხრეთ-სლავიაში ბულგარეთის საელჩოს შენობასთან გაიმართა უზარმაზარი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყვეს კომუნისტებმა. დემონსტრაციამ დიდძალი ხალხი მიიზიდა.

პოლიციამ, რომელიც დაგვიანებით მოვიდა, რამდენჯერმე გარეკა აღელვებული ხალხი. დააპატიმრეს მრავალი პირი.

## იტალია-ეგვიპტეს დავა

**ლონდონი,** 25 მაისი. კაიროდან იუწყებიან: მუსოლინის განცხადებამ, თითქოს იტალიას უდავო უფლება ჰქონდეს ჯარაბუბზე და ლიბიაზე, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ეგვიპტის გაზეთებში, რომელნიც სასტიკად ჰკიცხავენ იტალიას, რომელიც ასეთი განცხადებებით გამოდის იმ დროს, როდესაც ეგვიპტის მთავრობამ სთხოვა მას დელეგატების დანიშვნა მოლაპარაკების მეგობრული კილოთი საწარმოებლად.

## მიწის ძვრა იაპონიაში

**ტოკიო,** 25 მაისი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით მიწის ძვრის გამო ქალაქები კინოსაკი, ტოიოკო და ხიოგო (ტაიჯიმის რაიონში) სრულებით გასწორებული არიან მიწასთან.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში საბჭოთა მთავრობის სახელით იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს თანაგრძნობა განუცხადა ამ უბედურების გამო.

## გლეხების მღელვარება რუმინეთში

**ვენა,** 25 მაისი. რუმინეთში გრძელდება გლეხთა მღელვარება, რაც გამოწვეულია მიწათმოწყობის დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებებით.

დაბა გალიჩევიდან მოსული ცნობის თანახმად შეიარაღებულ გლეხებს დღემდის უკავიათ მათ მიერ წართმეული მიწები. აგრეთვე დაბა პეგოკუში, ჩუპერჩენში და დოლშას ოლქის სხვა ადგილებში გასანაწილებლად დანიშნული მიწები დღემდის უჭირავთ შეიარაღებულ გლეხებს.

## ჯალათების მსხვერპლნი

**ვენა,** 25 მაისი. 43 კომუნისტიდან და გლეხთა კავშირის წევრებიდან, რომელთა გასამართლებაც ხდებოდა ბულგარეთის ქალაქ ვრატცში, ბრალდებულ პავლოვს, ჩულევს და ნაიდენოვს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, 14 კაცს მიუსაჯეს 12 ნახევარი წლის კატორღა თვითეულს, სამს რვა რვა წლის კატორღა და 23 კი გაამართლეს.

## ვაჭრობა იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის

**რომი,** 25 მაისი. რადგანაც იტალიის გაზეთებში გავრცელდა არასწორი ცნობები იტალია საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ბრუნვის შესახებ, ამიტომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გამოაქვეყნა ცნობა, სადაც აღნიშნულია თუ რამდენად გაიზარდა იტალიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში ასე მაგალითად ა. წ. იანვარში ეს ექსპორტი უდრიდა 3 ნახ. მილიონ ლირას, თებერვალში—6 მილიონს, მარტში—12 და აპრილში კი 18.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

### სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა.

**დონის როსტოვი,** 26 მაისი. სადგურ ბატაისკსა და ზლოდეისკაიას შუა სასიკვდილოდ დასჭრეს ხომუტოვის სტანიცის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ქსენძი.

### ნიაღვარი როსტოვში.

**დონის როსტოვი.** 26 მაისი. ერთი კვირაა როსტოვში განუწყვეტლივ სწვიმს. ჩამოინგრა რამოდენიმე სახლი; ზოგიერთი მუშების ბინები დაფარულია წყალით. დაზარალებულებს სასწრაფო დახმარებას უწევენ.

### ჰაეროპლანის დამსხვრევა

**კოსტრომა,** 26 მაისი. სოფელ კრასნოიში ჩამოვარდა და დაიმსხვრა ჰაეროპლანი, რომელიც ეკუთვნოდა საჰაერო ფლოტის მეგობართა კოსტრომის განყოფილებას. მძიმეთ დაჭრილია მექანიკი, მსუბუქათ—მფრინავი და მგზავრი.

### საურთიერთო კრედიტის საზოგადოებების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი

**მოსკოვი,** 26 მაისი. გაიხსნა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებების წარმომადგენელთა პირველი საკავშირო ყრილობა.

### სამგზავრო მატარებლის დამსხვრევა.

**დონის როსტოვში.** 26 მაისი. 23 მაისს ღამით კანტემიროვკა-გარტმანოვკას გადასარბენზე დაიმსხვრა სამგზავრო მატარებელი. დამსხვრევა მოხდა იმის გამო, რომ ერთი სამგზავრო ვაგონი მეტად გადაიზნიქა და გადაიტანა მეორე ვაგონიც. ვაგონი დაიმტვრა. არის მოკლულები და დაჭრილები. დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული.

### ამხ. ვოიკოვის ჩამოსვლა.

**მოსკოვი, 26 მაისი. 24 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ვოიკოვი.**

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

### მასწავლებელთა ყრილობა.

**ბაქო,** 26 მაისი. 25 მაისს საღამოს გაიხსნა მასწავლებელთა სრულიად აზერბეიჯანის პირველი ყრილობა, რომელსაც ესწრება 250 დელეგატი.

### სასამართლოს აპარატის განმტკიცება ნახიჩევანის მხარეში.

**ბაქო,** 26 მაისი. იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ ნახიჩევანის მხარეში სახალხო გამომძიებლების, საოლქო სასამართლოს წევრების და პროკურორების თანაშემწეთა თანამდებობაზე გაგზავნილი იქნებიან მაღალ-კვალიფიციური მუშაკები.

### მოუსავლიანობა ყაზახის მაზრაში

**ბაქო,** 26 მაისი. საზამთრო ნათესები ყაზახის მაზრაში არ არის დამაკმაყოფილებელი. თესლეულობის და სურსათის ნაკლებობის გამო საზამთრო ნათესების სივრცე 23.638 დესეტინიდან შემცირდა 19.233 დესეტინამდე. მოსახლეობას ეგზავნება დახმარება.

# პარტიული ცხოვრება

— არსენალის რაიკომი იუწყება: 27 მაისისთვის დანიშნული კრება პარტიის წევრებისა და კანდიდატებისა გადაიდო 30 მაისისათვის და შესდგება საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში.

დღის წესრიგი:

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება

„მეთოთხმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ"

დასწრება სავალდებულოა რაიონის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

მდივნის მაგიერ—წითლიძე.

# ჟურნალი „სოფლის კომუნისტი"

### ს. კ. პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ც. კ-ტის უკანასკნელი პლენუმის დადგენილების თანახმად, მიმდინარე წლის ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა ც. კ. ყოველთვიური ჟურნალი „სოფლის კომუნისტი", ჟურნალის მიზანია სოფლად მომუშავე ამხანგების, სოფლის პარტიულ აქტივის გათვითცნობიერება საერთო პოლიტიკურ, პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებში. ჟურნალში მოთავსებული იქნება სახელმძღვანელო წერილები იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც წამოჭრილია პარტიისა და ხელისუფლების წინაშე ჩვენი სოფლის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინების სფეროში. ჟურნალში ადგილი დაეთმობა აგრეთვე ადგილობრივ ცხოვრების გაშუქებას, სოფლებში მუშაობის ნაკლისა და ღირსების აღნიშვნას, პარტიულ უჯრედების და საბჭოთა ორგანოების მოქმედების გარკვევას და სხვა; მოკლეთ—ჟურნალი პასუხს გასცემს გასცემს სოფლად მომუშავე ამხანაგებისათვის საინტერესო და საჭირბოროტო კითხვებზე.

დღევანდელ პირობებში ჟურ. „სოფლის კომუნისტს" ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. აშკარაა ჟურნალი მაშინ შესძლებს თავის დანიშნულების მიღწევას, როდესაც ადგილობრივად მომუშავე ამხანაგები სოფლად მუშაობის ყველა დადებით და უარყოფით მხარეებს, პრაქტიკულ გამოცდილებას, კორესპონდენციების სახით გაუზიარებენ რედაქციას. ამას გარდა, ჟურნალის ფართოდ გავრცელებას პარტიულ მასაში უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, არ უნდა დარჩეს უჟურნალოდ არც ერთი სოფელში მომუშავე ამხანაგი, რომელსაც უხდება პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობა.

ვიღებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში, გაძლევთ წინადადებას:

1) აწარმოოთ ჟურნალზე ხელის მოწერა.

2) დააინტერესოთ და წაახალისოთ სოფლის აქტივი ჟურნალში მონაწილეობის მიღებით.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი **ლ. ქართველიშვილი.**

ცეკას საგიტ.-საპროპაგანდო განყ. გამგე **ვ. მახტაძე.**

# შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუჯრედი

ამას წინად შესდგა ზემოხსენებულ კომუჯრედის მორიგი ღია სხდომა, რომელსაც დაესწრენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგები.

სხდომის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: მე-14 პარტკონფერენციის შედეგები და მოხსენება წიგნთ-საცავის მდგომარეობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ა. მიქელაძემ, რომელმაც ვრცლად აღნიშნა მე-14 პარტკონფერენციის მუშაობის მიმდინარეობა ხაზი გაუსვა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს, რომელთა ცხოვრებაში გატარებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ქვეყნების ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულად დაწინაურების საქმეში და რაც თავის მხრით უტყუარი საწინდარია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცებისა და სოციალიზმის დამყარებისათვის.

მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მუშათა კლასი სოფლის გლეხობასთან ერთად მტკიცედ იდგომება თავის სადარაჯოზე და კიდევაც მიიყვანს ოქტომბრის რევოლიუციას საბოლოო გამარჯვებამდე.

დასასრულ წიგნთ-საცავის შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ა. ხ. ფანიაშვილმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წიგნთ-საცავი იქნეს უფრო მდიდარი, ამისათვის სახ. კომ. ყველა წიგნთ-საცავები უნდა გაერთიანდეს ერთ მთლიან ერთეულში და ის უნდა დაარსდეს წითელ კუთხესთან, სადაც შეძლება მიეცემა საქ. სახკომატების ყველა თანამშრომლებს ისარგებლონ საჭირო წიგნებით.

**პარტკორი ლადო მახილაძე.**

# ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

### სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის უჯრედების შესახებ

ზემოხსენებული უჯრედები წინათ ერთ მთლიან უჯრედს წარმოადგენდენ. მაგრამ ბიურომ გაითვალისწინა თუ არა ამ მთლიანობის უარყოფითი შედეგები, ჩამოაყალიბა ის ორ ა. და ბ. უჯრედებათ. უჯრედი გაიყო აქტივისტთა კადრის თანასწორ რიცხვის შეფარდებით. თვითეულში 100-ზე მეტი წევრი და კანდიდატია. ამ გარემოებამ, უჯრედის გაყოფამ მეტად ხელი შეუწყო მუშაობის გამოცხოველების საქმეს.

მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ კიდევ სავსებით ვერ დაგვიღწევია თავი ყველა. იმ ნაკლულოვანებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინად. მომხსენებლის დაგვიანება ან სრულიად არ მოსვლა, ან და ასეთი ხასიათის განცხადება, რომ მომხსენებელი დღეს სათანადოთ მოუმზადებელია,—ყოველივე ეს ძველი ამბებია, რომლებსაც ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოეღოთ ბოლო. ეს მით უმეტეს, როდესაც დღეს უჯრედის კრებები ეწყობა ყოველ ორ კვირაში ერთხელ და მომხსენებელს საკმაო დიდი დრო რჩება მოხსენების სათანადოთ მოსამზადებლად.

ყოველ მიზეზს გარეშე საჭირო არის ამ ნაკლის გამოსწორებაც, რათა საბოლოოდ გამოვაჯანსაღოთ ჩვენი უჯრედების მუშაობა.

**აპ. გაბედული.**

## კომკავშირის ქრონიკა

— საქართველოს მასშტაბით დაწყებულია ხელახალი აღრიცხვა კ. კავშირის წევრებისა.

— ოზურგეთის მაზრკომი აწყობს კომკავშირისა და სამხედრო ნაწილებისათვის კლუბს ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობაზე.

— ამ ჟამად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებში ტარდება უპარტიო ქალიშვილთა კონფერენციები.

— ა. წ. პირველ ივნისამდე უნდა დამთავრდეს პოლიტ-წრეების მეცადინეობა, ჯამი უნდა გაუკეთდეს განვლილ მასალას და ჩატარდეს პოლიტგამოცდები.

— ა. წ. 12 ივნისს მოსკოვში იხსნება სრულიად საკავშირო ა. ლ. კ. კ. კონფერენცია.

# „26"-ის სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში მიღების წესი.

## 1925—26 სასწავლო წლისათვის

### 1. მიღების პირობები

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს პარტიულ სკოლას და თავის მიზნად ისახავს კვალიფიციურ პარტიულ მუშაკების მომზადებას.

ამის გამო ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც გზავნიან სტუდენტებს, ევალებათ ძალიან სერიოზულად მოეკიდონ უნივერსიტეტში გასაგზავნ სტუდენტების შერჩევას.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში მიიღებიან უმეტესად მუშები და გლეხები.

გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს არა ფიზიკურად მომუშავეთათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწევიან აქტიურ პარტიულ მუშაობას.

მიიღებიან ამხანაგები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნილებებს:

ა) ფიზიკური შრომის საწარმოო სტაჟი სამრეწველო დაწესებულებებში ან სასოფლო მეურნეობაში არა ნაკლებ 2 წლისა;

ბ) პარტიის წევრები 2 წლის სტაჟით და კომკავშირის წევრები 3 წლის სტაჟით.

**შენიშვნა:** კომკავშირის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 25 პროცენტისა.

გ) რომლებიც აქტიურად მუშაობენ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში არანაკლებ 2 წლისა;

დ) ჰასაკი 20-დან 32 წლამდე.

მიიღებიან ამხანაგები, რომელთაც აქვთ მეორე საფეხურის საბჭოთა-პარტიული სკოლის ერთწლიანი კურსის საერთო ცოდნა, რომლებიც ერკვევიან მიმდინარე წლის პოლიტიკურ ამბებში.

მუშები და გლეხები, რომლებიც აკმაყოფილებენ მიღების ყველა დანარჩენ პირობებს, მაგრამ აქვთ მომზადება მხოლოდ პირველი საფეხურის საბჭოთა-პარტიული სკოლის ფარგლებში, შეიძლება მიღებული იქნენ მოსამზადებელი განყოფილების ერთწლიან კურსზე, სადაც მოემზადებიან ძირითად კურსზე შესასვლელად.

ამხანაგები, რომელთაც დამთავრებული აქვთ პარტიული სკოლა, შეიძლება მიღებულ იქნენ მხოლოდ ერთი წლის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ.

დაავადმყოფებულნი გადამდებ და ვენერიულ სენით, კლინიკური ფორმის ნევრასტენიით, ჰლექით, ძალაზე გამხდარნი და ფიზიკურად დასუსტებულნი უნივერსიტეტში არ მიიღებიან.

გამომგზავნი ორგანიზაციები ვალდებული არიან:

ა) იკისრონ სამგზავრო ხარჯები;

ბ) ჩააბარონ გამოსაგზავნ ამხანაგს პირადი საქმე და შემრჩევ კომისიის დადგენილება;

გ) მისცენ მოკლე ცნობები: ჰასაკის, განათლების, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, პარტიაში ან კომკავშირში შესვლის დროის, თანამდებობის შესახებ, ცნობები პარტიულ და საბჭოთა მუშაობის შესახებ, მოკლე დახასიათება გამოგზავნილისა, როგორც პარტიული მუშაკის, და გასაგზავნის ხელწერილი იმის შესახებ, რომ მიღების პირობებს ის იცნობს.

გამოგზავნილებს თან უნდა ჰქონდეთ საბუთები სამხედრო ბეგარასთან მათი დამოკიდებულების შესახებ.

ა | კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში გამოგზავნილი ამხანაგები გატარდებიან ექიმთა კომისიაში, სამანდატო კომისიაში და აბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ამხანაგები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს, უკანვე იქნებიან დაბრუნებულნი იმ ორგანიზაციების ხარჯზე, რომლებმაც გამოგზავნეს.

ამხანაგებს, რომელთაც აირჩევენ ადგილობრივი ორგანიზაციები უნივერსიტეტში გასაგზავნად, უნდა მიეცეს ერთი თვის შვებულება იმ დაწესებულების ან წარმოების ხარჯზე, რომელშიაც მუშაობდა კანდიდატი უნივერსიტეტში გაგზავნის დროს.

შვებულება ამხანაგებს ეძლევათ დასასვენებლად და მოსამზადებლად უნივერსიტეტში შესვლისათვის და წესდება 10 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე.

მიღება ა | კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში იწარმოებს 10-დან 15 სექტემბრამდე.

ამ ვადის შემდეგ დაგვიანებულნი არ მიიღებიან.

უნივერსიტეტში სტუდენტებს ეძლევათ ბინა საერთო საცხოვრებელში, საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, სახელმძღვანელოები და ფულით კმაყოფა—თვიურად 7 მანეთი.

საერთო საცხოვრებელში მიიღებიან უცოლო სტუდენტები.

სტუდენტების ოჯახების ბინით და სამსახურით უზრუნველყოფის მხრივ უნივერსიტეტი არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს.

ყველა ჩამოსული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის სამდივნოში (თბილისი, ერმოლოვის ქ. № 6, 9-დან დღის 4 საათამდე).

**ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტ. რექტორი: კასიანი.**

# ექსკურსიების ორგანიზაცია საქართველოში

დასრულდა თათბირი ექსკურსიების მოწყობის შესახებ საქართველოში. თათბირს დაესწრენ საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, პოლიტიკურ მთავარ სამმართველოს, საქ. გეოგრაფიული საზოგადოების, რ.-გ. პროფსაბჭოს, ტურისტების საზ-ბის, ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს საექსკურსიო სექციის წარმომადგენელნი.

თათბირმა დაადგინა საექსკურსიო საქმის მოსაწყობად და მოსაწესრიგებლად, მიმდინარე საზაფხულო სეზონისათვის საქართ. პოლიტიკურ აღმზრ. მთავარ სამმართველოსთან მოეწყოს საექსკურსიო ბიურო, რომელშიაც შევლენ დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე საკავშირო რესპუბლიკებიდან ჩამომავალ ექსკურსანტებისათვის მოეწყოს ხუთი საექსკურსიო ბაზა შემდეგ ადგილებში: თბილისში, ყაზბეგში, ბათომსა, ბორჯომსა და თელავში.

მიმდინარე საზაფხულო სეზონში საექსკურსიო ბიურო შეაკეთებს ყაზბეგის მწვერვალზე ამავალ გზაზე მდებარე ექსკურსანტთა შენობას, რომელიც სპეციალურად მწვერვალზე ექსკურსანტებისთვის არის აგებული.

მომავალ კვირიდან საექსკურსიო ბიურო აწყობს 4-5 დღიან კურსებს საექსკურსიო საქმის შესასწავლად საქართველოს პოლიტმუშაკებისათვის.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან ეწყობა ექსკურსანტებისათვის სპეციალური კუთხე, საიდანაც შესრულებული იქნება მარშრუტის, სამეცნიერო და ტეხნიკური ცნობების მიღება მოგზაურობის შესახებ.

ცენტრ. საექსკურსიო ბიურო რუსულ ენაზე სცემს სპეციალურ წიგნს—გზის მაჩვენებელს საქართველოს კუთხეებისას. წიგნი მზად იქნება ექსკურსიების დაწყებისათვის. ამავე დროისათვის გამოცემული იქნება აგრეთვე მოკლე სახელმძღვანელო საექსკურსიო საქმის შესახებ კულტ. და კლუბის მუშაკებისათვის.

ექსკურსიები დაიწყება დაახლოებით 15 ივნისიდან. ამ დროისთვის მზად იქნება ყველა შენობები აღნიშნულ საბაზისო ადგილებში, სადაც დანიშნულ იქნებიან სპეციალური ხელმძღვანელნი.

საბჭოთა რუსეთიდან საქართველოში მოსალოდნელია რამოდენიმე ათასი ექსკურსანტი, განზრახულია აგრეთვე საქართველოდანაც გაიგზავნონ ექსკურსანტები.

# კოოპერაცია

## კოოპერატიული ქრონიკა

### ცეკავშირის საკონსერვო ქარხანა გორში.

დამდეგ ხილის სეზონისთვის ცეკავშირმა გააფართოვა თავისი საკონსერვო ქარხანა გორში. შეძენილია ახალი მანქანები და კონსერვების დასამზადებლად საჭირო მასალა.

### კერამიკული ქარხნის დახურვა.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-5 ყრილობის დადგენილების თანახმად ცეკავშირის საწარმოო განყოფილებამ დახურა კერამიკული ქარხანა თბილისში და აბრეშუმის ძაფის საგრეხი ქარხანა ხონში.

### ცეკავშირის ბამბის საწმენდი ქარხანა.

ცეკავშირის მიერ გასულ სეზონში დამზადებულ 40.000 ფუთ ნედლ ბამბიდან ქარხანაში გაწმენდილ იქნა 35.000 ფუთი ბამბა, დანარჩენი 5.000 ფუთის გაწმენდა დასრულდება 20 მაისისათვის. ვინაიდან საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით ცეკავშირმა ბამბის დამზადება-მოყვანის საქმე უნდა გადასცეს წარმოკავშირს, ბამბის საწმენდი ქარხანა მისთვის ზედმეტ ბარგად ხდება. ამიტომ მიღებულია ზომები მის გასასყიდად.

### ნორმალური წესდება მომხმარებელთა საზოგადოებისათვის.

საკავშირო მთავრობის მიერ 1924 წლის მაისის 20-ის თარიღით კოოპერაციის შესახებ გამოცემულ დეკრეტის ნიადაგზე და 1924 წლის ნოემბრის 21-ის თარიღით დამტკიცებულ ნორმალურ წესდებასთან შეფარდებით ცეკავშირმა შეიმუშავა საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების ნორმალური წესდება.

### ცეკავშირის საბჭოს მეოთხე სესია

მიმდინარე წლის მაისის 30-ს ტფილისში შეიკრიბება ცეკავშირის საბჭოს მეოთხე რიგითი სესია.

### კოოპერატიული რუკა

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ გამოსცა საქართველოს კოოპერატიული რუკა, რომელიც იძლევა ცეკავშირში შემავალ კოოპერატიულ ორგანიზაციების საქართველოს ტერიტორიაზე განაწილების სრულ სურათს. თითო ცალი რუკისა ღირს 40 კაპ.

### კოოპერატივი ადიგენში (ახალც. მაზრა).

ამჟამად ადიგენში არსებულ უდეს კოოპერატივის განყოფილების ნაცვლად ადგილობრივ მოსახლეობის ინიციატივით და ცეკავშირის დასტურით და ხელისშეწყობით არსდება დამოუკიდებელი კოოპერატივი.

# რა ხდება ქართველ თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში

## ვანო ალიხანაშვილის განცხადება „პარიზის ქართველთა საზოგადოების გამგეობას"*)

„გასულ 1924 წელს 14 ნოემბერს ჩემ მიერ შემოტანილი იყო განცხადება სადაც წინადადებას ვიძლეოდი საქართველოში მომხდარ საშინელ მოვლენათა სასწრაფოთ გამოკვლევა-გაშუქებისას.

სამწუხაროდ მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარში საზოგადო კრებაზედ მე მივიღე მოულოდნელი ოფიციალური პასუხი, გამგეობის დავალებით ჯერ ბატონი რევაზ გაბაშვილისაგან და მერე გამგეობის თავმჯდომარის ბატონ სხირტლაძისაგან.

თქვენ მიპასუხეთ: ვინაიდან ჩემს განცხადებაში მე ვამბობ რომ 1917 წლიდგან დღევანდლამდე საქართველოს და მეზობელ ხალხებთან დაუსრულებელ სისხლის ღვრაში, საქართველოს ეკონომიურად დაცემაში, და 1921 წ. ჩვენი პოლიტიკის სამარცხვინო დამარცხებაში და უკანასკნელად 1924 წ. 28 აგვისტოს საქართველოს მოტყუებით დამღუპველ აჯანყებაში მე პირდაპირ დამნაშავეთ მიმაჩნია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჟორდანიის ყოფილი მთავრობა და მოვითხოვ საზოგადო კრებაზე საბრალდებლო საბუთების განხილვას, აღნიშნულ მთავრობის გადაყენებას და პასუხისგებაში მიცემას... თქვენი აზრით ეს არის დიდი პოლიტიკური საკითხი და რადგან ქართული საზოგადოების გამგეობას არ შეუძლია პოლიტიკური საქმეების გარჩევა და პოლიტიკური აქტის მოხდენა, ამიტომ ეს საკითხი უნდა გაარჩიოს ჯერ მთავრობისა და ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა შეერთებულმა კრებამ და როგორც იქ გადაწყდება ისე უნდა მოვიქცეთო და სხვა.

მაგრამ განა პოლიტიკა არ არის ის, რომ ქართველი კოლონია პარიზში და მისი გამგეობა მხარს უჭერდა დღემდე აჯანყების პოლიტიკას?

თქვენ ამბობთ რომ დღეს ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამო ჯერ-ჯერობით სჯობს გაჩუმდეთ და ჩვენს ცუდ საქციელს და ცუდ კაცობას ქვეყანას ნუ გავაგებინებთო და სხვა. ქართული ანდაზაა: „კაცმა პირი მალა, მაგრამ პირმა თავისი არ დამალაო". თქვენ ხელოვნურად გინდათ სენის დამალვა, მაგრამ სენი თავს არ დამალავს და რამდენად დრო გადის იმდენ უბედურებას გვამთხვევს და ახალს გვიმზადებს.

თქვენ მირჩევთ ხსენებული საკითხი გავარჩევინოთ მათ, ვისაც ბრალს ვდებ ე. ი. საქმე უნდა გაარჩიოს და დაათასოს ჟორდანიას მთავრობის და პოლიტიკური პარტიების შეერთებულმა კრებამ, ეს მაშინ როდესაც პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი ლიდერები, მიუხედავად იმისა რომ ჩემ აზრს იზიარებდენ, საქართველოს დაუსრულებელი საშინელი ტრაგედიასა, და 28 აგვისტოს მომხდარი სისხლის ღვრასა და ჟორდანიას მთავრობის მავნე მოქმედებაში, მის მაგიერ, რომ მათ პირდაპირი მოვალეობა შეესრულებიათ ჩვენი ქვეყნის წინაშე და შეერთებული ძალით მოეთხოვათ დამნაშავე მთავრობის პასუხისგებაში მიცემა, სწორედ 28 აგვისტოს აჯანყების შემდეგ ნოე ჟორდანიას ახალ „კოალიციონურ მთავრობაში" შებრძანდენ (ეროვნულ. დემოკრატებისაგან ს. კედია, სოც. ფედერალისტების ს. ფირცხალავა და ესერებისაგან ი. გობეჩია, რომლებიც ალბად მინისტრულ ჯამაგირებს იღებენ) რითაც ისინი ჩადიან ისტორიულ დანაშაულებას საქართველოს ერის წინაშე.

ამის შემდეგ ყველასათვის აშკარა უნდა იყოს რომ „ლიდერები" არ დგანან თავიანთ მოვალეობის სიმაღლეზე და რომ მათ არ აქვთ ცოდნა, უნარი და გამბედაობა დანაშაულების ღირსეულად დასაფასებლათ და არ შეუძლიათ შენახვა ერის სასიცოცხლო ინტერესებისა ასეთ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს არ ძალუძს გადაჭრან ის დიდი სახელმწიფოებრივი საკითხი რომელსაც თვითონ სცნობენ.

მე დანაშაულად მიმაჩნია ამ გაბატონებულ ჯგუფებთან ლაპარაკი, რომლებიც კულისებს უკან შავ კომბინაციებს აკეთებენ და მე დათმობისაკენ მიწვევენ. მაშინ დაიღუპა ჩვენი ქვეყნის საქმე, როდესაც ხალხის მართმსაჯულების სამართალში ძალმომრეობით გაბატონებულ პარტიების დიპლომატიური გაიძვერობა, „იურიდიული" უკუღმართობა შეიჭრა.

თქვენ ამბობთ, რომ დიპლომატიური და ისტორიული მოსაზრებით მოვიცადოთ. ჯერ ჩვენ სიგლახეს ნურავის გავაგებინებთო. საქმე იმაშია, რომ საქართველოში მომხდარი გამოურკვეველი სიგლახე და ცუდი რამეები 1917 წ. დაწყებული იცის მთელმა ევროპამ და სწორედ მიზეზიც ეს არის იმისი, რომ ცუდ კაცებად ცნობილ მთავრობას და შეთაურებს აღარ ენდობა არც ბურჟუაზიული და არც სოციალისტური ევროპა.

ამის შედეგია, რომ განსაცდელის დროს საქართველო გარიყული უპატრონოდ რჩება და ფაქტიურათ არავინ არ გვეხმარება.

1917 წლიდანვე ვამბობდი და ვსწერდი, რომ ყოველგვარი ჩვენი მოქმედება დავგმოთ, გამოვამჟღავნოთ ჩვენი ცუდი მხარეები თორემ დავიღუპებითქო. მაგრამ მაშინ გვარწმუნებდენ ჯერ მოვიცადოთო. ამასვე გვეუბნებიან 1918 წელს. ამასვე გვეუბნებიან 1919—20 წლებში. ასევე სთქვეს 1921 წელს ბათუმში პასუხათ ჩემს წერილობითი განცხადებაზე ამ საკითხის შესახებ, რომელიც მე გადავეცი ერთ-ერთ ლიდერს საქართველოს დ. რ. დაცემის შემდეგ.

1921 და 1922 წ.წ. სტამბოლში კვლავ გვიმტკიცებდენ: აქ ევროპის დიპლომატიის გასაგებათ ნუ გადავშლით ჩვენს ცუდ მხარეებსო. წინადადებაც მომცეს მათ წინაშე დამეწვა მიწერ-მოწერა, საბუთები, სადაც მე ავღნიშნავდი მმართველი წრეების დანაშაულობას.

1923—24 წ.წ. დასაწყისში მე ვსწერდი წერილებს სხვადასხვა ადგილებში ამხანაგებს, აგრეთვე პარიზის ქართველთა კოლონიის გამგეობაში მე შევიტანე განცხადება, რომ ნ. ჟორდანიას მთავრობა საქართველოში აჯანყებას აწყობს ევროპის იმედითთქო. ისინი (ყოფილი მთავრობა) დარწმუნებული, რომ ევროპა მათ არ მოეხმარება მაინც აწყობენ ავანტიურას. ყველაფერი მოხდა და აგვისტოს შემდეგ ქართველმა დაინახა თავისი მტერ-მოყვარე.

ეხლა 1925 წ. ვამბობ: ნ. ჟორდანიის და რამიშვილის „მთავრობა" თავიანთი ახალი „კოალიციონური სამინისტროთი" საქართველოში ამზადებს ახალ ავანტიურას, რომელსაც მოჰყვება ქართველი ხალხის ხელმეორეთ გასრესა. თვალი გაახილეთ თორემ შემდეგ გვიან იქნება. დღეს, როდესაც თვით ნ. ჟორდანიას მთავრობისაგან და მისი წარმომადგენლების მიერ კერძო თუ ოფიციალური ცნობით 28 აგვისტოს დაწყებულ აჯანყებაში დახოცილთა და დაზარალებულთა რიცხვი ასობით ანგარიშდება, მიუხედავათ ამ წარსული საშინელებისა საქმე ამით ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და მზადდება კიდევ ახალი უბედურება.

აჯანყების მრავალი უდანაშაულო მსხვერპლის შემდეგ ქართველი ხალხი კიდევ ორ ცეცხლშია ჩავარდნილი: ბოლშევიკების მიმხრობისათვის ნ. ჟორდანიას „მთავრობა" მათ ემუქრება მომავალში სხვა და სხვა საშინელებით ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების და რუსეთის რეაქციონური ძალებით, ცეცხლით—ზარბაზნით: მენშევიკური ნ. ჟორდანიას მთავრობის მომხრობისათვის კი ბოლშევიკური მთავრობა უმასპინძლდება რეპრესიებით.

თუ თქვენ ქართველი და მშრომელი ხალხის სიცოცხლეს და სახელმწიფოებრივ ინტერესებს თქვენი პირადი და ჯგუფური ინტერესებზე არ სცვლით, თუ თქვენ ქართველი ხალხის გმინვა კვნესა და ტანჯვა თქვენ საკუთარ ტანჯვათ მიგაჩნიათ, მაშინ დარწმუნდით იმაში რომ საქართველოს წამებული ხალხი დღემდისინი ვეღარ გრძნობს [illegible] უბედურებას, [illegible] და ამ—ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური პარტიების ლოგიკა. მართლმსაჯულება, როდესაც წარსულის ნამოქმედარს არ იკვლევთ რომ კვლავ აღარ განმეორდეს მსგავსი ბოროტმოქმედებანი. ამის მაგიერათ თქვენ და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ჩემგან მოითხოვთ გაჩუმებას და მთავრობის გავლენით ყოველგვარ საშვალებას ხმარობთ, რომ მე არ მომეცეს უფლება საჯაროთ მოხსენების გაკეთებისა. და დასძენთ: ჯერ დრო არ არის ჩვენი ქვეყნის წინაშე დამნაშავეების საჯაროთ გამოაშკარავების და სხვა. მაშ როდის, მაშინ როდესაც ნ. ჟორდანიას და რამიშვილის კარიერისტული და ბნელი პოლიტიკის მეოხებით მტრათ გადაკიდებულ ერების ავანტიურისტულ ომებში ქართველი ხალხი განადგურდება ამოიჟლიტება? როდის? როდესაც ამ ყოვლად უაზრო და უნაყოფო ომებში არსებული საქართველო უქართველობით დარჩება?

არა! მიუხედავათ წარსულში ჩემ მიერ თქვენ პატივისცემისა, მე დარწმუნდი დღეს, რომ თქვენსა და ჩემს შორის არაფერი საერთო არ ყოფილა.

მე თქვენს რჩევას, თქვენს აზრს ვერ ვღებულობ რადგან თქვენ: გამგეობის წევრთა უმრავლესობა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ ასრულებთ თქვენ მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ მოვალეობას. ორში ერთია: ან თქვენი პირადი და არა ნაციონალური ინტერესების გამო გნებავთ საქმის მიფუჩეჩება, ან და გაუგებრობით დამნაშავეთა ბრმა იარაღათ ხდებით, ორივე შემთხვევაში თქვენ საქართველოს დათვურ სამსახურს უწევთ. საქართველო გამონახავს (უკვე გამონახული აქვს მოქ. ალიხანაშვილს!—შენიშვნა ას.-ამწყობისა) თავის გზას რომელსაც იგი მტკიცეთ დაადგება.

მაგრამ სირცხვილი იმისთანა ქართველებს, რომლებიც ძმა-ბიძური პირფერობით და პირადი „ამოსარჩენის" მიზანით ჯგუფური ბნელი კომბინაციების მეოხებით საქართველოს უბედურობით სარგებლობენ და არ ეძებენ ასობით ქართველი აჯანყების დაქცევის და გაოხრების მიზეზებს.

სირცხვილი იმ საზოგადო პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც ხელს აფარებენ საქართველოს დამნაშავეებს და ამით ხელს უწყობენ ქართველი ხალხის დევნას და მომავალში კვლავ ქართველი ხალხის ამოწყვეტა-განადგურებას.

დასასრულ ნიშნათ ღრმა საყვედურისა გავდივარ პარიზის ქართველთა კოლონიიდგან, და მივდივარ საქართველოში, რომ ჩვენგან შეცდომაში შეყვანილი და მოტყუებული ქართველი ხალხის მძიმე ტანჯვა გავიზიარო და ქვეყანას ვამცნო სიმართლე".

**ვანო ალიხანაშვილი.**

---

*) მუშა ვანო ალიხანაშვილი, ძველი მენშევიკი (1903 წლიდან) მენშევიკური პარტიის პასუხისმგებელი მუშაკი, მენშევიკური გვარდიის შტაბების თავმჯდომარე. (ჯერ ნავთლუღში, შემდეგ ბორჯომში ბოლოს ახალციხეში), რომელიც მენშევიკებთან ერთად გაიხიზნა უცხოეთში და სცხოვრობდა ჯერ სტამბოლში, შემდეგ პარიზში—არ არის უცნობი ჩვენი მკითხველებისათვის. მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში ჩვენ გამოვაქვეყნეთ მისი წერილები, სადაც გამომჟღავნებული იყო მენშევიკური მთავრობის დანაშაულებანი.

ვბეჭდავთ სრულიად უცვლელათ მის განცხადებას, რომელიც მას შეუტანია „პარიზის ქართველთა საზოგადოების გამგეობაში". განცხადება მოგვყავს „ახალი საქართველო"-ს მე-6 ნომრიდან, რომელიც მივიღეთ გუშინ.

**რედაქცია.**

# სოფლისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მისაწოდებლად

22 მაისს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში ამხ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი იმის გამო. რომ ზოგიერთმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ვაჭრობენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, არ შეასრულეს დადებული ხელშეკრულება მანქანების მიწოდების შესახებ. თათბირს დაესწრენ ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის, ა | კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა—კ სახელმწიფ. ვაჭრობის სამმართველოს, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლები

როგორც თათბირზე გამოირკვა, ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიიღეს ა | კ. სასოფლო ბანკიდან დაკვეთები საგაზაფხულო კამპანიისათვის მანქანების მიწოდებაზე, არ შეასრულეს დაკისრებული ვალდებულება და მანქანების მეტი ნაწილი, რომელიც უნდა გაგზავნილიყო სოფლად საგაზაფხულო მუშაობის დაწყების წინ. მიღებული იყო თბილისში მხოლოდ საგაზაფხულო მუშაობის დამთავრების შემდეგ. მანქანების მეორე ნაწილი, რომელიც დანიშნული იყო აგრეთვე საგაზაფხულო სეზონისათვის, ჯერ კიდევ არ არის ჩამოტანილი ამიერ-კავკასიაში. ამრიგად, მანქანები, რომლებიც გამოწერილი იყო მიმდინარე წლისათვის უმოქმედოთ უნდა იქნეს დატოვებული მომავალ სეზონამდე.

ამას გარდა, ბანკისათვის მანქანების ჩაბარების დროს მოვაჭრე ორგანიზაციები არ აღნიშნავენ გადაჭრილ ფასებს მანქანებზე, რაც შეუძლებელს ხდის მანქანების შემდეგ გადაგზავნას სოფლად.

თათბირმა აღნიშნა, რომ მანქანების თავის დროზე მიუწოდებლობის მიზეზი არის დაუდევრობა დაკვეთების ჩაბარების დროს, დაბრკოლება მანქანების გადაგზავნის და ადგილებზე დარიგების საქმეში. თათბირმა დაადგინა ყოველივე ზომები მიიღოს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

თათბირზე გამოთქმული იყო აგრეთვე აზრი, რომ აუცილებელია ერთ ორგანოში იქნეს გაერთიანებული სოფლისთვის მანქანების მიწოდების საქმე, რომ ამ აპარატში იქნეს თავმოყრილი მანქანების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა საკითხები—მანქანების მარკების არჩევა, შეკეთება, მანქანების გაქირავება, ფასების შეთანხმება და სხვ.

თათბირმა პრინციპიალურად სასურველად სცნო ასეთი ორგანიზაციის შექმნა და დაადგინა მოიწვიოს ამ საკითხის განსახილველად დაინტერესებულ ორგანიზაციების სპეციალური თათბირი.

# ტრაქტორების გამოცდა

24 მაისს, დოლის მოედანს იქით გასინჯულ იქნენ ა | კ. სასოფ.-სამეურ. ბანკის მიერ მიღებული ტრაქტორები (ერთი „ხოლტის" სისტემისა და ორიც—„ფორდზონისა").

გამოცდამ ასეთი შედეგი გამოიღო: „ხოლტის" ტრაქტორი გაუმჯობესებულათ არის მოწყობილი „ტანკივით"—ერთმანეთზე გადაჯაჭულ გორგებით. თანაც ძვირია (7.000 მან.) მაგრამ ტეხნიკურათ სწრაფი, ძლიერი და ადვილათ სამართიც. 16 წამის განმავლობაში ერთი-მეოთხედი დესიატინაზე გაავლო 8 კვალი, სიღრმით 4 გოჯი.

„ფორდზონის" ტრაქტორი უფრო სუსტია და შეფარდებულია რბილ ნიადაგზე. იმავე ხნის განმავლობაში მან გააკეთა 6 კვალი, სიღრმით 2—3 გოჯი. მართალია ნიადაგი ძალიან მაგარი იყო, მაგრამ მაინც „ფორდზონი" ეკკერტის გუთნებით უფრო კარგათ ხნავდა, ვიდრე საკუთარი მძიმე გუთნებით.

დამსწრე კომისიამ ის აზრი გამოიტანა, რომ საჭიროა „ფორდზონის" სხვა ნიადაგზე გასინჯვა, რადგან ხმელ მიწაზე ყველა მისი თვისების გაცნობა შეუძლებელია.

გასინჯვას დაესწრენ მთავრობის თავმჯ. მოადგილე ამხ. **ჟუღელი,** მიწათ-მოქ. კომისარის მოადგილე ამხ. ვაშაძე, ა | კ. სასოფ.-სამეურ. ბანკის თავმჯდომარე—ამხ. **ჩხენკელი** და სხვა.

# ბამბის მეურნეობა ჩვენში

## ბამბით დათესილია 6.700 დესიატინა

მებამბეობას ჩვენში ამ უკანასკნელ ხანებში მიექცა ჯეროვანი ყურადღება და ის თანდათანობით ვითარდება.

თუ ავიღებთ წრევანდელ თესვის კამპანიას, დავინახავთ, რომ დათესილ მოედნის რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა, მაგ. წლის დასაწყისში განზრახული იყო 5.700 დესეტინის დათესვა ბამბით, სინამდვილეში კი დაითესა 6.700 დესეტინა, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

თანახმად ხელშეკრულებისა, წელს მებამბე გლეხებზე განზრახული იყო მიცემა 5.700 ფუთი ხორბლისა—ფასით 1 მ. 50. ფუთი. და წინასწარ იყო გამონაგარიშებული, თუ რომელ რაიონს რამდენი უნდა მისცემოდა, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვიჩვენა. აღმოჩნდენ ისეთი რაიონები, რომლებიც მწვავე საჭიროებას განიცდიან ხორბლის მხრივ და ისეთებიც, რომლებიც უფრო ფულს საჭიროებენ. ამისათვის პირველთ ეძლევათ გასამრჯელო უმეტესად ნატურით, უკანასკნელთ კი ფულათ.

განაწილება შემდეგნაირად ხდება: **ყარაიაზის და ბორჩალოს მაზრას,** დათესვის დროს ეძლევათ ხორბლათ 5 ფ. და მოწევისას 5 ფ. ფულად: დათესვის დროს 30 მან., მოწევისას 36 მ. 25 კაპ.

**კახეთის რაიონი** განიცდის ყველაზე მეტ საჭიროებას ხორბლისას. ამისათვის დათესვის დროს მას ეძლევა 10 ფ. ხორბალი ე. ი. ფულით აღარაფერი აღარ ერგება, ხოლო მოწევის დროს მიიღებს 15 ფ. ხორბალს, ან ფულად 45 მანეთს.

**დასავლეთ საქართველოში** ჯერ არ არის გამორკვეული, თუ რა მდგომარეობაშია მეურნეობა, თუ რა რაოდენობის მიწაა დათესილი და ამისათვის ხორბლის გაცემაც ჯერ-ჯერობით არ სწარმოებს, მაგრამ საქ. საბამბო კომიტეტმა უნდა მიიღოს 2 რონოდა ხორბალი საზ-ბა „ბირლიკი"-საგან, რომელიც მას აქვს წაღებული სესხად და მის მიღებისთანავე იგი დაურიგდება [illegible] და საქართველოს. ანგარიშით მას ერგება დათესვის დროს 20 მან.—მოწევის დროს 30 მან. (ყველა ზემო დასახელებული ციფრები ნაანგარიშევია დესეტინაზე).

საქ. საბამბო კომიტეტი, როგორც ხორბალს, ისე ფულს და დასათეს მასალას წესიერად და დაუყოვნებლივ, თავ-თავის დროზე აწვდის მებამბეთ. ფულის მიცემა წელს სულ სხვა წესით ხდება. ფული აბარია ძირითად კოოპერატივებს, რომლებიც მას აწვდიან გლეხებს საჭიროებისამებრ, ან და ასეც ხდება, თვით კოოპერატივი ქირაობს გლეხისათვის მხვნელებს, რომლებიც უხნავენ მას მიწას, შემდეგ უთესავენ და თვით კოოპერატივი უშუალოდ უსწორდება ამ დაქირავებულებს.

ეხლა რაც შეეხება თესვისათვის ხელშემწყობ პირობებს: ამინდის და ნათესების მორწყვის საკითხის მხრივ უნდა ითქვას, რომ გაზაფხული წელს ბამბის კულტურისათვის ძალიან ცუდია—ეს გამუდმებული გვალვები ცუდათ მოქმედობენ ნათესებზე.

მხოლოდ ისეთ ადგილებში, რომელთაც აქვთ სარწყავი არხები და ნათესებიც ირწყვებიან—აქ მდგომარეობა კარგია (ყარაია). ბორჩალოს რაიონშიც მდგომარეობა არა უშავს, რადგან აქაც ზოგი ნათესები ირწყვება, მაგრამ არის შიდი სოფლები, რომლებიც განსაცდელში არიან ჩაყენებული—აქ ჩამოდის მდინარე, რომელიც რომ მიწების მოსარწყავად იქნეს გამოყენებული, საჭიროა გა[illegible]მენდას.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა ბამბის საწმენდ ქარხნებზე.

— საქ. საბამბო კომიტეტმა აღძრა მთავრობის წინაშე საკითხი, საქართველოში არსებულ ბამბის საწმენდ ქარხნების მისთვის გადაცემის შესახებ, რაც საქ. მთავრობამ დააკმაყოფილა. ეს ქარხნებია: „ცეკავშირის" ყარაიაში, „ყულარის მორისეული" ყარაიაში, ბორჩალოს მაზრაში და ერთიც ქუთაისში, კერძო, ახლად ნაციონალიზაციაქმნილი. პირველი ორი ქარხანა, როგორც თავის მდებარეობით, ისე თავის გამოყენების მიზნით გამოუსადეგარნი არიან და საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას, რაც ისეთ ხარჯს იწვევს, რომ ამ თანხით შეიძლება ახალი უკეთესი ქარხნის აგება ისეთ ადგილას, რომ შემდეგში ნედლი ბამბის გადასატან და დამუშავებულის გადასატანად ხარჯებს აღარ მოითხოვდეს.

ამისათვის საქ. საბამბო კომიტეტმა გადასწყვიტა ყარაიას ქარხანა გადმოიტანოს სადგურთან და ამავე მოაწყოს ახალი კონსტრუქციით და ყულარის—სადგ. შულავერთან, ასევე ახალი კონსტრუქციით და ახალი მანქანების დადგმით.

**ა. ქ.**

# ჩვენი სოფლის ჭირვარამი

## რევოლიუციონური კანონების გატარება სოფლად

(საუბარი ამხ. საქ. პროკურორ ამხ. ურუშაძესთან)

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამხ. საქ. პროკურორს ამხ. ურუშაძეს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებია მიღებული რევოლიუციონური კანონების სოფლად წესიერათ გატარებისათვის ცხოვრებაში.

ამხ. ურუშაძემ, რომელიც ეხლახან დაბრუნდა მაზრების დათვალიერებიდან შემდეგი განაცხადა:

ჩვენს ხანაში პროკურატურა ძლიერი იარაღია მშრომელთა დახმარებისათვის რევოლიუციონური კანონიერების დასაცავად და მის ცხოვრებაში სისწორით გასატარებლად.

დღემდის რევოლიუციონურ კანონიერების დაცვისა და მისი სოფლად ცხოვრებაში სისწორით გატარების საქმე ძალზე მოიკოჭლებდა, იგი მინდობილი ჰქონდათ ადგილობრივ ხელისუფლებს და ასეთი გარემოება კი დიდებით შედეგებს ვერ გვაძლევდა.

ეხლა უკვე ყოველ მაზრაში პროკურორს ჰყავს თავისი თანაშემწეები, რომლებსაც დავალებული აქვთ თვალი ადევნონ ადგილობრივ მუშაობას, სისწორით გაატარონ კანონები ცხოვრებაში და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ გლეხობას.

თვითეულ თანაშემწეს დაგზავნილი აქვს სპეციალური ცირკულიარი, რომლის თანახმად იგი მოვალეა მივიდეს უშუალოდ (ე. ი. უაღმასკომოდ) მიყრუებულ სოფლებში და გამოარკვიოს: რა აწუხებს, ან ვინ აწუხებს გლეხს, გაიგოს მისი ჭირვარამი და ამის მიხედვით იმოქმედოს, გაუწიოს მას საჭირო დახმარება. ამ საშვალებით ჩვენ ვგებულობთ თემის აპარატის მუშაობას. არის ისეთი თემები, რომლებშიც არსებობენ პროკურატურის დამხმარე კომისიები, (გლეხობისაგან შემდგარი), რომლებიც ეხმარებიან მას საქმიანობაში; ასეთები არსებობენ ჯერ ჯერობით ახალციხის და გორის მაზრებში. კერძოთ თანაშემწენი ვალდებულნი არიან თავ-თავის დროზე წარუდგინონ პროკურორს ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ.

მიუხედავათ ამისა,—განაცხადა ამხ. ურუშაძემ—მე გავემგზავრე მაზრებში, რათა გამომერკვია პირადათ: ტარდება თუ არა გაცემული ცირკულიარი ცხოვრებაში სისწორით და გამოირკვა, რომ ზოგიერთ მაზრებში მართლაც ადგილი აქვს მის ან არ გატარებას ან დამახინჯებას.

მაგალითად, დუშეთის მაზრაში აღმოვაჩინე შემდეგი ბოროტმოქმედებანი:

1. გლეხს, მიცვალებულის დამარხვა სხვადასხვა მოწმობების აღების გამო უჯდება 20—25 მანეთი.

2. ამავე მაზრაში ჟინვალის თემში თემაღმასკომი არავითარ ყურადღებას არ აქცევს გლეხების განცხადებას მიწების შესახებ.

3. თიანეთის კოოპერატივი პირდაპირ სპეკულიაციას ეწევა, იგი განუსაზღვრელ პროც.-ებს ადებს ყოველდღიურ საჭიროების საქონელზე.

4. გლეხკომს ამავე მაზრაში გაუყიდია მიწა, აღმასკომს უკანონოდ ჩამოურთმევია 15-მდე სახლი ულარიბეს გლეხობისათვის და აღებული ფულები თანამშრომლებს თავიანთ შორის გაუნაწილებიათ „ავანსების“ სახით და სხვა.

**ყოველ ზემოაღნიშნულ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მიღებულია საგანგებო ზომები და აღნიშნული ბოროტმომქმედნი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.**

ამავე დროს თანახმად „კომუნისტი“-ს ერთი კორესპონდენციისა ნატახტარის თემის ყოფილ მილიციის უფროსის შესახებ გამოირკვა: ‚ლოთობდა, ავიწროვებდა გლეხობას და თავის საქციელით სახელს უტეხდა ხელისუფლებას. იგი უკვე სამსახურიდან მოხსნილია და შეუპყრიათ ბათომში. ამის გამო პროკურორის მიერ გაცემულია განკარგულება, რათა იგი გამოგზავნონ თბილისში პროცესის დასანიშნავად.

**ყოველ ასეთ მოვლენების შემდეგ ალმ. საქ. პროკურატურამ განმეორებითი ცირკულიარი დაუგზავნა თანაშემწეთ, რათა უფრო გააძლიერონ თავის საქმიანობა, აწარმოონ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების გამოკვლევა.**

**დუშეთის მაზრის პროკურორის თანაშემწე ბარნაბიშვილი იმისათვის, რომ მან ვერ გამოიჩინა შესაფერისი უნარი თავის თანამდებობის ასრულების დროს და მის მაზრაში ადგილი ჰქონდა მრავალ ბოროტმოქმედებებს — პასუხისგებაში იქნება მიცემული.**

მესამე ცირკულიარი, რომელიც დაეგზავნა თავის დროზე ადგილებზე მდგომარეობს იმაში, რომ თანაშემწეთ ევალებათ **აიღონ ინიციატივა თავის თავზე ბოროტ-მოქმედების ადგილობრივ გასარჩევად, ამ გარჩევას დაესწრებიან გლეხები და თავის თვალით დაინახავენ შედეგს რევოლიუციონური კანონიერებისას.** ამავე დროს მათ უნდა აწყონ საუბრები საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ გლეხობაში.

კერძოთ, პროკურორის იმ თანაშემწეთ, რომლებიც აქ თბილისში მუშაობენ ევალებათ კვირა-უქმე დღეებში წავიდენ ახლო სოფლებში და აწარმოონ გამოკვლევა რევოლიუციონურ კანონიერების წესიერად გატარებისა ცხოვრებაში და შესაფერი დახმარება გაუწიონ გლეხობას.

ა. კ.

# საცხოვრებელი ბინები კერძო სახლებში

(სტატისტიკური ცნობები)

საბინაო პირობების უკანასკნელი გამოკვლევა თბილისში კერძო პირთა სახლებში ბინების რაოდენობის შესახებ შემდეგ ციფრებს იძლევა.

მთელი მოედნის 79,5 პროც. შეადგენს საცხოვრებელი ბინები, 0,8 პროც. გამოუყენებელი (დაცარიელებულია) ადგილები, 11,4 პროც. სამზარეულოები, 4,0 პროც. აივნები, 3,6 პროც. საკუჭნაო ოთახები და 0,8 ვანის ოთახები.

მთელი საცხოვრებელი მოედნიდან საცხოვრებელ ბინას შეადგენს 99,0 პროც., ხოლო დაცარიელებულს, დაუკავებელს—1,0 პროც. მუშებს, მოსამსახურეებს და მოწაფეებს უჭირავთ მთელი საცხოვრებელი მოედნის 56,9 პროც., საზ. „თვითმშრომელის“ წევრებს 8,1 პროც.. დანარჩენებს 33,9 პროც., 1,0 პროც. დაუკავებელი ბინებია.

ამგვარად საცხოვრებელი მოედნის ნახევარზე მეტი უჭირავთ მუშა-მოსამსახურეებს და მოწაფეებს.

კერძო სახლებში მობინადრეთა მთელი რაოდენობა 57,6 პროც. შეადგენენ მუშა-მოსამსახურენი და მოწაფენი. მაგრამ მუშა-მოსამსახურეები სცხოვრობენ აგრეთვე სხვა სოციალურ ჯგუფების მიერ დაკავებულ ბინებში. მაგ. თვითმშრომელთა ბინებზე სცხოვრობს 4.087 მუშა, ხოლო დანარჩენ სოც. ჯგუფების ბინებზე—13.439 მუშა.

რამდენი კვადრ. არშინი მოდის თვითეულ ბინადარზე? ყოველ მუშა-მოსამსახურეზე მოდის 15,8 კვადრ არშინი, ხოლო თვითმშრომელებზე—13,5 კვ. არშინი, დანარჩენ ზე—14,8 კვ. არშინი. 1924 წელს საშუალოდ ერთს ადამიანზე მოდის 15,2 კვ დრ. არშინი, ხოლო 1921 წელს თვითეულ სულზე მოდიოდა 17,8 კვადრ. არშ. ე. ი. ამ ხნის განმავლობაში შემჭიდროვების გამო საცხოვრებელი მოედანი 2,6 კვადრ. არშინით (ანუ 14,6 პროცენტით) შემცირებულა.

ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ შემჭიდროება უკიდურეს საზღვრამდე მისულა თბილისში. თვითეულ ადამიანზე მოდის მინიმალურ ნორმაზე გაცილებით ნაკლები. მუშათა ბინებზე ერთ ოთახში საშუალოდ სცხოვრობს 2,3 კაცი, თვითმშრომელთა ბინაზე—ერთს ოთახში 2,5 კაცი, ხოლო დანარჩენების ბინაზე—2,3 კაცი. როგორია კერძო სახლების შემოსავალი? ყველა კერძო სახლების თვიური შემოსავალი 1924 წელს უდრიდა 87,396 მანეთს, ესე იგი ერთს მფლობელობაზე მოდიოდა 8,3 მანეთი შემოსავალი [illegible]

# საქართველოს ექიმთა მე-3 კონგრესი

### მეორე სხდომა.

სხდომა იხსნება საღამოს სრულ 7 საათზე პროფ. სპ. ვირსალაძის თავმჯდომარეობით.

საპროგრამო საკითხებზე მოხსენებებს აკეთებენ: ექ. ნ. გეგეჭკორი, ექ. ივ. გიგინეიშვილი, კობიაშვილი, ექ. მუსხელიშვილი, ექ. თოხაძე და ექ. მარუაშვილი, ნაწილობრივ საპროგრამო საკითხს შეეხებოდა აგრეთვე ექ. მ. უგრელიძის მოხსენებაც.

### ექ. გეგეჭკორის მოხსენება

მომხსენებელი ეხება ტუბერკულიოზის პრობლემას საქართველოში. მას მოჰყავს სტატისტიკური ცნობები სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოთ, საქართველოში ტუბერკულიოზის გავრცელების შესახებ. მომხსენებელი სარგებლობს ექ. როზანოვის და ექ. აბაკელიას სტატისტიკური ცნობებით აგრეთვე საქ. ჯანსახკომის ტუბერკულიოზურ სექციის და სტატისტიკური განყოფილების მიერ გატარებული რეგისტრაციის შედეგებით.

როგორც სხვადასხვა ავტორების გამოკვლევანი, ისე პირადი დაკვირვებით ტუბერკულიოზი უმთავრესად საბავშვო ჰასაკის სნეულებაა და ამიტომ მთელი ყურადღება ამ მხრივ უნდა იქნას მიმართული.

მოხსენებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ტუბერკულიოზის სტატისტიკა უნდა ჩაითვალოს სრულიად დაუკმაყოფილებლად, და მომხსენებელი საჭიროთ სთვლის ტუბერკულიოზის სავალდებულო რეგისტრაციას კერძოთ მომუშავე ექიმებისათვისაც კი.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს ტუბერკულიოზის ხელშემწყობ მიზეზებს ჩვენში. ასეთ მიზეზებათ მომხსენებელი სთვლის სხვათაშორის: მზის სხივებით მკურნალობის ნაკლებობას, ცუდ კვებას, საბინაო პირობებს, წყალს (მისი დევალცინაცია და დემინერალიზაცია), ცხოველთა ტუბერკულიოზს, მალარიას და რასიულ კონსტიტუციის თვისებებს. დასასრულ მომხსენებელი აღნუსხავს ტუბერკულიოზისაგან თავდაცვის, პროფილაქტიური ზომებს. ერთ-ერ უმთავრეს ზომად მომხსენებელს მიაჩნია საქართველოს ყველა მაზრებში დისპანსერების გახსნა და ტუბერკულიოზთან ბრძოლაში მუშათა გლეხთა ორგანიზაციების ჩაბმა, ქ. თბილისში ტუბერკულიოზის სახელმწიფო ინსტიტუტის გახსნა სახელმწიფო უნივერსიტეტთან სპეციალურ კათედრის დაარსება.

### ექ. გიგინეიშვილის და კობიაშვილის მოხსენება

ექ. გიგინეიშვილის მოხსენება ეხებოდა გურიის ზოგიერთ სოფლებში ტუბერკულიოზის გავრცელებას. ეს მოხსენებაც დიდ ინტერესს წარმოადგენდა იმ მხრივ, რომ ჩვენში, საქართველოში, ტუბერკულოზის გავრცელება სოფლად თითქმის სრულიად არ არის შესწავლილი.

### ექ. მარუაშვილის მოხსენება

ექ. მარუაშვილი თავის მოხსენებაში უკავშირებს ორ მძიმე სნეულების შემთხვევას ერთსა [illegible] ავადმყოფში. მომხსენებელს [illegible] და აკვირდება ტუბერკულიოზიან ავადმყოფებზე, რომელნიც [illegible] ან დაავადებულნი [illegible] მალარიით გართულებულ ტუბერკულოზიან ავადმყოფის მკურნალობა ქინაქინით სიფრთხილით უნდა ხდებოდეს, რადგანაც მისი აზრით ქინაქინა იწვევს ტუბერკულოზის პროცესის გამწვავებას. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ქინაქინა ნაკლები დოზით უნდა მიეცეს ავადმყოფს.

მომხსენებლის აზრს ბევრი ექიმი არ დაეთანხმა და საბოლოოთ ის აზრი გამოითქვა, რომ ვინაიდან მასალა, რომლითაც ექიმი მარუაშვილი სარგებლობს მცირეა, ამიტომ საჭიროა კიდევ დაკვირვების გაგრძელება ამ მხრივ.

### ექ. თოხაძის მოხსენება

ექ. თოხაძე ეხება ბავშვთა სიკვდილიანობას ტუბერკულიოზისაგან ქალაქის პირველი საავადმყოფოს მასალების მიხედვით. მას უწარმოებია დაკვირვება ტუბერკულიოზისაგან გარდაცვლილ ბავშვთა გვამებზე და მიუღია ბევრი საყურადღებო შედეგები ბავშვთა ჰასაკში ტუბერკულიოზის გავრცელების შესახებ. მის მიერ გამოყვანილ დასკვნებს კონგრესი აგრეთვე დიდი ყურადღებით და ინტერესით ისმენს.

### პროფ. ვირსალაძის სიტყვა

ყველა ზემოაღნიშნულ მოხსენებების გარშემო იმართება ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ თავმჯდომარე პროფ. ვირსალაძე მომხსენებელთა და კონგრესის წევრთა მიერ გამოთქმულ აზრს უკეთებს რეზიუმეს. პროფესორი ამბობს:

„დღევანდელი მოხსენებები ეხებოდა საპროგრამო საკითხებს, რომელიც მეორე კონგრესმა დააყენა, სახელდობრ ტუბერკულიოზის გავრცელებას. ჯერ ჯერობით არა თუ ჩვენში, არამედ მსოფლიოში ეს საკითხი საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. ყველა მომხსენებლებმა მოიყვანეს მათ მიერ შეკრებილი მასალები, მაგრამ არც ერთი ეს მასალა საბოლოო დასკვნის გამოსატანად არ გამოდგება. მაგრამ თავის თავად თვითეული მოხსენება დიდ ღირებულებას წარმოადგენს კონგრესისათვის, რადგან იგი მიგვითითებს ამა თუ იმ გზისაკენ საკითხის გადასაჭრელად.

### ექ. მ. უგრელიძის მოხსენება

დასასრულ ფრიად საინტერესო მოხსენებით გამოდის ექ. მ. უგრელიძე. მისი მოხსენება ეხება ახალშობილების პერიფერიულ ლიმფიური ჯირკვლების გადიდების შემთხვევებს. რადგან ლიმფიურ ჯირკვლების გადიდებას ხშირად უკავშირებენ ტუბერკულიოზით ან სხვა რომელიმე ავადმყოფობით დაავადებას. მომხსენებელს შეუხდენია ცდები ახალშობილ ბავშვებზე და მისულა იმ დასკვნამდე, რომ ახალშობილთა ლიმფიური ჯირკვლების გადიდება (კისრის, იღლიის და საზარდულის მიდამოში) სრულიად ნორმალური (ფიზიოლოგიური) მოვლენაა და მისი დაკავშირება რამე ავადმყოფობასთან არ შეიძლება. მოხსენება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონგრესის წევრთა შორის, რასაც ამტკიცებს მრავალი შეკითხვები და აზრთა-გაცვლა-გამოცვლა.

სხდომა იხურება ღამის 12 საათზე.

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ანგარიშში პრეზიდიუმის შემადგენლობის სიაში გამოტოვებული არიან: **ექ. ლოსაბერიძე და ექ. მაღალაშვილი (თავმჯდომ.)** და გარდა ამისა მდივანთა შემადგენლობაში შეცდომით აღნიშნულია **ექ. ქ. ფოფხვაძე, უნდა იყოს ექ. ქ. ვეფხვაძე.**

# ა.-კ. რკინისგზიელ პროფკავშირთა საბჭოს მესამე პლენუმი

### მეოთხე სხდომა

### კამათი სალიანდაგო განყოფილების მუშაობის გარშემო

მესამე დღის დილის სხდომაზე იწყება კამათი ამხ. კოვალენკოს (სალიანდაგო სამსახურის უფროსი) მოხსენების გარშემო.

ამხ. **ხამიდოვი** აღნიშნავს, რომ რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზზე სააღმშენებლო მასალები თავის დროზე არ მოდის, რის გამოც რკინის გზების აღდგენა ფერხდება.

იგივე ორატორი საჭიროთ სცნობს თოვლმწმენდი ორთქლმავლების შეძენას.

ამხ. **მირზოევი** უსაყვედურებს სალიანდაგო სამსახურს სრულს უყურადღებობას სამხრეთის ხაზისადმი სადაც თითქმის ყველა ყაზარმები დღემდე შეუკეთებელია.

ამხ. **ჯანაშია** აღნიშნავს, რომ ბათომის უბანში მოუწყობელია აბანოები და მიუხედავად მრავალ დადგენილებისა, მის მოწყობა-შეკეთებას არ ექცევა არავითარი ყურადღება. მსგავსივე შენიშვნები სალიანდაგო სამსახურის მუშაობაში შეაქვთ ამხ. ამხ. გოგიბერიძეს, გრიგორიანს და სადიხს.

რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 5 კაცისგან.

### მეხუთე სხდომა.

### მოძრაობის დარგის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ლებესოვი).

მომხსენებლის თქმით ა|კ. რკინის გზის მოძრაობის დარგი თანდათან უმჯობესდება მატარებლის საშუალო სასწრაფო მატულობს და უახლოვდება ომამდე არსებულ დონეს. ამჟამად დღე და ღამეში ა|კ. რკინის გზაზე მოძრაობს 1440 ვაგონი.

ცენტრიდან მიღებულია ახალი ძლიერი ორთქლმავლები, რომელნიც ჩვენი რკინის გზის ხაზის შესაფერისი გამოდგენ საიმპორტო საქონლის გადაგზავნა ჩვენს რკინის გზებზე კარგათ არის დაყენებული. ამ მხრივ ჩვენ მიერ შესრულებული ეკონომიური თათბირის მიერ გამოტანილი ყველა დადგენილებები.

მომავალი წლისათვის მოძრაობის დარგი შეთანხმებულია კომზაჰესთან ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის ენერგიის გამოყენების შესახებ სურამის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციოთ. ეს ღონისძიება შეამცირებს განათებული მასალების ხარჯს რკინის გზაზე.

შემდეგ მომხსენებელი პლენუმს აცნობს საწარმოო თათბირების მუშაობას და აღნიშნავს თათბირების ნაყოფიერ შედეგებს რკინის გზების მშენებლობაში.

### კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ოპონენტები აღნიშნავდენ მატარებლების მოძრაობის სისწრაფის ამაზე მეტს გადიდებას, რაც ორატორის აზრით, არ შეესაბამება ა|კ. რკინის გზების ტეხნიკურს მდგომარეობას. ეს უკანასკნელი გარემოება კი იწვევს ხშირ მარცხებს.

### მეექვსე სხდომა

### წევის დარგის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ლეონტიევი)

მომხსენებელი ეხება წარმოებათა მდგომარეობას მთავარს სახელოსნოებში და დეპოებში, სადაც წყაროების გაფართოების გამო მუშების რიცხვი თანდათან იზრდება.

წარმოების გადიდებამ გამოიწვია შენობების გაფართოების საჭიროება:

გაფართოებულ იქნა თბილისის, ბაქოს და ლენინაკანის დეპოები. ამ ჟამად სწარმოებს ხაშურის და სამტრედიის დეპოების გაფართოება. საამქროებში მოწყობილ იქნა დერეფნები.

წევის სამსახურის სტატისტიკის დარგში საანგარიშო პერიოდში მცირეოდენ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი: სწორედ ვერ დგებოდა საევრსო ჯილდოების ნუსხა, მაგრამ მალე ეს შეცდომაც გამოსწორებულ იქნა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

# ბრძოლა უმუშევრობასთან

### შრომის კომისარიატის ღონისძიებები.

შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა აჭარაში მოწყობილი შრომის კოლექტივები დამტკიცებულ იქნას შემდეგი დამატებით: წიგნების ასაკინძავ კოლექტივში გადიდებულ იქნას მუშა-ხელი 10 კაცამდე; აგრეთვე შეწყვეტილ იქნას ძეხვის დამამზადებელ კოლექტივისათვის დახმარების (სუბსიდიის) მიცემა, დახარჯულ თანხის განაღდება და უმუშევართა ფონდში დაბრუნება დაევალოს ამხ. ბრელიძეს.

დამტკიცებულ იქნას უცვლელად აფხაზეთში და ქუთაისში მოწყობილი შრომის კოლექტივები.

მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ჭიათურაში, სამტრედიაში და გორში შრომის ბირჟაზე აღრიცხულ უმუშევართათვის კოლექტივების მოსაწყობათ.

დაევალოს შრომის კომისარიატის რწმუნებულებს აჭარაში და აფხაზეთში და აგრეთვე პროვინციის ყველა განყოფილებებს, რომ კომისარიატის ნებადაურთველად არ იქნეს მოწყობილი არც ერთი შრომის კოლექტივი.

# ღვინის გადასაზიდი ტარიფის შეცვლა.

სახკომსაბჭოს თავჯდომარის ამხ. ს. ჯუღელის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა მოსკოვიდან:

„10 აპრილიდან შემოღებული ღვინის გადასაზიდი განსაკუთრებული ტარიფი 1 ივნისიდან გაუქმებულია.

ა|კ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელი ტერგაბრიელიანი“.

მოსკოვი 25 წ. 25 მაისი.

# „წიგნის კვირეული“

ამ ჟამად თბილისში მიმდინარეობს „წიგნის კვირეული“.

წიგნის კვირეულის ძირითადი ამოცანა არის ლენინის ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება—წიგნის მასებში შეტანა.

მხოლოდ ბიბლიოთეკების და ბიბლიოთეკის მუშაკთა ცდით და ღონისძიებით ამ ლოზუნგის განხორციელება შეუძლებელი ხდება. ამიტომ „წიგნის კვირეულის“ ჩატარება დაკისრებული აქვთ ბიბლიოთეკებს გარდა, მთელ რიგ კულტურულ დაწესებულებებს.

მრავალ ბიბლიოთეკებთან მოწყობილია და ზოგიერთთან ახლაეწყობა „წიგნის მეგობართა საზ-ბანი“, რომელშიდაც ეწერებიან მუშები, წითელარმიელები მოსამსახურეები და სხვები.

ამ წრეების ამოცანებს შეადგენს დახმარების გაწევა ბიბლიოთეკებისათვის, ბიბლიოთეკების მუშაობის დაკავშირება დაწესებულებების, ქარხნების და წარმოებათა მუშაობასთან, კავშირის გაბმა სამხედრო ორგანიზაციებთან, ბიბლიოთეკების, წიგნების სასარგებლოდ პროპაგანდის გაწევა და სხვა.

„წიგნის მეგობართა“ წრეების მთავარი მიზანია—მოამზადოს წიგნის კარგი მეგობარი, რომელსაც უნარი ექნება წიგნის წაკითხვისა და გაგების.

ხოლო წითელარმიელთა, მუშათა და სასოფლო ბიბლიოთეკებში „წიგნის მეგობართა საზოგადოების“ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს საზოგადოებების წევრებიდან ქოხ-სამკითხველოს კარგი მუშაკნი და კლუბებთან არსებული კუთხეების კარგი ხელმძღვანელნი.

წიგნის „კვირეულის“ ერთს მთავარ ლოზუნგთაგანს წარმოადგენს აგრეთვე პროპაგანდა წიგნის გასაიაფებლად. მუშა-მოსამსახურის მცირე ხელფასი. შეუძლებელს ხდის ძვირად ღირებული წიგნის შეძენას.

ეს გარემოება მხედველობაში მიიღო პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველომ და გამოიმუშავა სათანადო ღონისძიებანი.

მოწვეულ იქნა საბიბლიოთეკო კამპანიის ჩამტარებელი კომისიის მიერ ყველა წიგნის გამომცემლობის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც დაადგინა წიგნის კვირეულის ჩატარების დღეს გახადოს წიგნი მისაწვდომი ფართე მასისათვის როგორც შინაარსის შერჩევის, ისე წიგნის ღირებულების მხრივ.

„წიგნის კვირეულის“ პერიოდში წიგნების გასავრცელებლად მოწვეულნი არიან კომკავშირელნი, რომელნიც გამოვლენ წიგნებით ქუჩაში და მკითხველს მიაწვდიან სპეციალურად შერჩეულ ლიტერატურას მეტად დაკლებულ ფასებში.

კიოსკებისა და წიგნების მაღაზიებში გამოფენილი იქნება მრავალი შერჩეული ლიტერატურა—მასიური ბროშიურები აქ მკითხველი შეხვდება სამეცნიერო სამხატვრო და პროფესიონალურ წიგნებს. მკითხველს ამ დღეს შესთავაზებენ წიგნებს სხვადასხვა საკითხზე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოფელს, რომელსაც დაეგზავნება მისთვის სპეციალურად შერჩეული ლიტერატურა—გლეხებისათვის მისაწვდომ ფასებში.

„წიგნის კვირეული“ უკვე დაიწყო. ადგილობრივ გაზეთებში უკვე შეხვდებით მთელ რიგ წერილებს, რომელიც ეხებიან წიგნის გავრცელების, გაიაფების, გაშინაარსიანების, წიგნის დაცვის და სხვ. საკითხებს.

24 მაისს საღამოს მუშათა სასახლეში გაიმართა სპეციალური საღამო, რომელიც მიძღვნილი იყო წიგნის დღისადმი“.

# განათლების ფრონტზე

### საბავშვო კითხვის ინსტიტუტი.

განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, საბავშვო კითხვის ინსტიტუტის დასაარსებლათ საჭირო თანხის გაღების შესახებ. საბავშვო კითხვის ინსტიტუტის მიზანი იქნება კითხვის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება, კითხვისადმი ბავშვთა ინტერესის გამორკვევა, ასაკის მიხედვით ბავშვის წიგნისაკენ მიზიდულება და წიგნის შინაარსის შეთვისება.

ინსტიტუტი ბავშვებს შეურჩევს წიგნებს და შემოიკრებს თავის გარშემო იმათთვის ლიტერატურულ შემოქმედებაში ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით.

საბავშვო კითხვის ინსტიტუტი გამოიკვლევს ბავშის ინტერესს წიგნისადმი და შეიმუშავებს გეგმას საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელათ და სხვა.

### სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულები მაზრებში.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტმა თავის რწმუნებულებად დანიშნა ახალციხის მაზრაში—ამხ. კ. გვარამაძე, გორის მაზრაში—ამხ. დ. ნადირაძე, რაჭის მაზრაში—ამხ. ამხ. ვ. მესხი და ა. პელიძე, ბორჩალოში—ამხ. ალი ზადე მირზა ხაბიბ, ოზურგეთში—ამხ. მარიამ ლომინაძე, თელავის—ზაქარია ჩიქვაძე, სენაკის—გრ. გეგენავა, დუშეთის—ამხ. მოზდოკელი, ზუგდიდის—ა. ჭანტურია, აჭარაში—ბოჭორიშვილი, სვანეთში—ამხ. ნავერიანი, სიღნაღის—ამხ. ილ. მოსაშვილი, ლეჩხუმის—ამხ. გაბიანი.

# ქრონიკა

— **ახტალის ტალახით აქიმობა.** თბ. აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა ცოვიანისეული აბანო გადააკეთოს ახტალის ტალახით დაზღვეულთათვის საექიმო აბანოთ.

— **მოზაიკური სახელოსნო.** თბ. აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა მოზაიკურ სახელოსნოსათვის საზღვარგარეთ შეიძინოს საჭირო მასალები, განსაკუთრებით მარმარილოს ფილები.

— **მანგლისის საგარაკო ბინების** რიცხვის გაფართოების მიზნით თბ აღმასკომმა ადგილობრივ კერძო სახლების შესაძენათ გადასდო 9350 მან.

— **საბინაო გადასახადი აგარაკებზე.** თბ. აღმასკომმა სააგარაკო ბინებზე დამატებით დააწესა გადასახადი შემდეგი სახით: კვადრატიულ არშინზე პროფკავშირის იმ წევრებისათვის, რომლებიც ღებულობენ თვეში 183-დან—200 მანეთამდე—2 მან., 201 მანეთიდან 300 მანეთამდე—3 მან. დანარჩენებისათვის—4 მან.

— **შრომის კოლექტივებისა და საზოგადო** სამუშაოების საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობაში შრ. სახ. კომისარიატმა დაამტკიცა შემდეგი ამხანაგები: კილოსანიძე, ბუაძე და კუშნერი.

— **გზა-ტკეცილის გაყვანა.** შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა საზოგადო სამუშაოს მოწყობის მიზნით გაიყვანოს გზატკეცილი ვერის დაღმართიდან სამხედრო გზამდე.

— **მუშა-ქალების მდგომარეობის გამოკვლევა.** შრომის სახ. კომისარიატის დავალებით ამხ. ნინა მახარაძემ შეადგინა საანკეტო ფურცლები, რომლებიც დაურიგდება წარმოებებში ჩაბმულ მუშა-ქალებს მათი ყოფა-ცხოვრების გამოსაკვლევად.

— **ზაჰესკომმა** გომის აღმასკომთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით გომის აღმასკომმა ზაჰესის საჭიროებისათვის უნდა დაამზადოს 30 ათასი კუბ. საჟენი სილა და ხრეში.

— **დაზღვევის ახალი წიგნაკები.** თბ. დამზღვევმა სალარომ დაადგინა გამოიმუშაოს დაზღვევის წიგნაკების ახალი ფორმა და ფერი დაზღვეულის პროფესიის მიხედვით.

— **საბინაო კოოპერატივის** ფინანსიური მდგომარეობის გასაძლიერებლათ, თბ. აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შრომის კომისარიატისა და საქ. პროფკავშირთა საბჭოს წინაშე 18.000 მან. გაღების შესახებ.

— **ბრძოლა ციებ-ცხელებასთან.** ჯანმრთელობის კომისარიატს ამჟამად მაზრებში დაგზავნილი ჰყავს ციებ-ცხელებასთან საბრძოლველათ 21 ექიმი.

— **სიმინდის გატანა.** მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე მეოთხედში (იანვარ-მარტი) ცეკავშირმა გასასაღებლათ დაამზადა 379 ათასი ფუთი სიმინდი.

— **ცეკავშირი** ამჟამად აერთიანებს 17 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას 3,547 წევრათ.

— **დახმარება უმუშევრებს.** 28 მაისს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება მისცემს მაისისთვის დახმარებას იმ უმუშევრებს, რომელთაც აქვთ წიგნაკები № 2701-დან № 3200-მდე.

— **ფართლეულობის შეძენა.** იანვარ-მარტის განმავლობაში ცეკავშირმა შეიძინა 591,359 მანეთის ფართლეულობა.

— **დახმარება მაზრას.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ტყიბულის საავადმყოფოს გაუგზავნა ქინაქინა და ნეოსალვარსანი.

— **იურიდიულ საზოგადოებაში** 28 მაისს საღამოს 7 საათზე მოხსენებებს გააკეთებენ შემდეგ თემებზე: საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ა. თუმანიშვილი—„იურიდიული საზოგადოების მიზანი და დანიშნულება“ და ამხ. კ. მიქელაძე—„მარქსისტული გაგება სამართლისა“.

— **წიგნები მებამბეობაზე.** ა|კ. მებამბეობის კომიტეტმა გამოსცა პოპულიარული წიგნები ქართულ-რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე მებამბეობის შესახებ ბამბის მეურნეთა სახელმძღვანელოთ.

— **აბრეშუმის დამზადება.** ა|კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შემუშავებას.

# გევორქ ტერ-დავთიანის იუბილე

სომხეთა ხელოვნების სასახლის „ჰაიარტუნ“-ის ხელმძღვანელობით ამა წლის მაისის 31-ს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამის თეატრში გაიმართება სომხური სცენის უხუცესი მუშაკის გევორქ ტერ-დავთიანცის 50 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

ტერ-დავთიანცი პირველად გამოვიდა სცენაზე 1870 წ. თბილისის თამამშევის ქარვასლის თეატრში, გურგენბეგოვის ვოდ. „ათასთუმნიანი ქაბა“-ში, ახალგაზრდა მსახიობმა ხსენებულ ვოდევილში შეასრულა ბაკლას გამყიდველ სარუხანას როლი.

ამ დროიდან ტერ-დავთიანცი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს თეატრალურ საქმეში და პირველი ნაბიჯიდანვე სხვადასხვა როლების ასრულებისაგან ირკვევა და ყალიბდება მისი შნო და ტალანტი.

ტერ-დავთიანცის ტალანტში დარწმუნდენ თავის დროზე სომხ. თეატრის გამოჩენილი მსახიობი გ. ჩიმიშკიანცი, ნიჭიერი დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანცი, ცნობილი იტალიელი მსახიობი ტრალიკოსი როსინი და სხვ.

ყველა, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ის სცენაზე, დიდის სიამოვნებით და მოწიწებით მოიხსენიებს დღესაც სომხურ სცენის მზნე და საუკეთესო კომიკის სახელს.

ტერ-დავთიანცი, როგორც სომხური სცენის ყველა მუშაკნი, თავის პირად ცხოვრებაში არ ყოფილა ნივთიერათ უზრუნველყოფილი, მასაც ბევრი გაჭირვება გამოუცდია არსებობისათვის ბრძოლაში და მრავალი სიმწარეც უგემნია... დღეს კიდევ ერთხელ ვიგონებთ ჩვენი თეატრის წარსულს, მის აყვავებას, თანდათანობითი გაფურჩქვნას...

აგერ 60—70-ნი წლები, როდესაც სცენაზე გამოსვლა, თეატრალური საქმის კეთება „უჭკუობათ“ ითვლებოდა, როდესაც თანამედროვე საზოგადოებრივი აზრი მსახიობს, თეატრის მუშაკს „რიგიან კაცად“ არ სთვლიდა.

აგერ დაუვიწყარი დრამატურგის—გაბრიელ სუნდუკიანცის ხანა... ის თავის უკვდავი ტიპებით ჰკიცხავს, ჰგმობს ქალაქის დამპალ მეშჩანობას, სინათლეზე გამოჰყავს ჩარჩ-ვაჭრების სიბინძურე და ის დუხჭირი ატმოსფერა, რომელშიაც სული ეხუთებოდათ მშრომელებს.

ტერ-დავთიანცი თავისებური ტალანტით საუკეთესო გამომხატველი იყო და არის კვლავ სუნდუკიანცის მუდამ ცოცხალი ტიპებისა. განსაკუთრებით კი სომხურ თეატრის ისტორიაში დაუვიწყარი დარჩება მისი „გიქო“ („პეპო“-ში), რომლის განსახიერება უტერ-დავთიანცოთ წარმოუდგენელია.

ღრმად დაკვირვებულმა დრამატურგმა [illegible] მანეთი შეავსეს. პირველმა თავის უკვდავი პიესების შექმნით, მეორემ ტიპების განსახიერებით ააგეს მთლიანი დიდი მხატვრული შენობა.

აგერ სომხური სცენის „ოქროს ხანა“... ადამიანი, მნაკიანი, ასტლიკა, ჰრაჩია, დები გარაგაშიანები, რომლებთან განუწყვეტლივ თანამშრომლობდა მსახიობი ტერ-დავთიანცი და ერთგულად ეწეოდა სომხურ თეატრის აღორძინების უღელის მძიმე ჰაპანს.

ტერ-დავთიანცის სასცენო მოღვაწეობა არ განისაზღვრება მარტო თბილისით. მას ვხედავთ პირველ რიგებში აგრეთვე ბაქოსა, ერევანსა და სხვა ქალაქებში. ის უღრესად სახალხო მსახიობათ ითვლება როგორც საბჭოთა საქართველოში, აგრეთვე სომხეთისა და აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებში.

დღეს ჩვენ ახალ, თავისუფალ წყობილების ხანაში ვდღესასწაულობთ მისი 50 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს, დღეს როცა მან უკვე საუკუნის მესამე მეოთხედში შესდგა ფეხი (დაბადებულა 1850 წ. 25 აგვისტოს თბილისში).

საიუბილეო კომისია ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი ნამაგარი სახალხო მსახიობის დღესასწაული ფართო გამოძახილს ჰპოვებს ყოველგან, განსაკუთრებით კი სომეხ მშრომელ მასებში.

საიუბილეო კომისიის საპატიო თავმჯდომარენი: ლუნაჩარსკი—სრულიად რუსეთის განათლების კომისარი, კანდელაკი—საქართველოს განათლების კომისარი, მრავიანი—სომხეთის განათლების კომისარი, კულიევი—აზერბეიჯანის განათლების კომისარი.

**თავმჯდომარენი:** ს. ხანოიანი (აიარტუხის თავმჯდომარე), ვასო აბაშიძე და ი. ალიხანიანი (სახალხო მსახიობნი).

**წევრნი:** აბაშიძე ტასო, ბაშინჯაღიანცი გ., გალუსტიანი გ., გედევანიშვილი ი., გრიშაშვილი ი., გულაზიანი ო., დარბინიანი მ, ერზნიკიანი სურ., თუმანიანცი ა., იგნატოვი გ., იმედაშვილი იოს., კახანცი ას., მარჯანიშვილი კ., მაჟენციახი პ., მანდენოვი ფ., ნაზარეტიანი ა., ორახელაშვილი მ., ოგანოვი გრ., სარიანი გ., სურსატიანი, სუხუშვილი ლ., სუნდუკიანი ა., ფირუმიანი გ., ქაფანაკიანი ს., წუწუნავა ა., ხანოიანი ნ., ხაჩიკიანი ა.

წევრი მდივანი—ს. ესაიანი.

# ხელოვნება

— **გამოვიდა ჟურნალ „საზღვარზე“-ს № 3, 4 შემდეგი შინაარსით** ს. ობრადოვიჩ—პარიზის კომუნარები, დ. მთისძირელი—პარიზის კომუნარები, ი. ევდოშვილი—ჰაობი, ა. ბუმერანგ-მაშაშვილი—ქალაქი, პ. სამსონიძე—ფიქრები საქართველოზე, ი. ევდოშვილი—სიმღერა ტუსაღისა, კ. ლორთქიფანიძე—ველები, დ. გაჩეჩილაძე—სამნი, დ. თურდოსპირელი—შენ გამოსცვლილხარ, გ. ქუჩიშვილი—რევოლიუციიდან (ერთი ეპიზოდი) თინა ჩიხლაძე—ლერწამი ჰსტვენდა, ქნარი კვნესოდა, ს. ერთაწმინდელი წითელი რაზმი, ვ. ბესოშვილი—თავშესაფარი, კ. ფეოდოსიშვილი—ლენა, ბელა-ილეში—ბუმბერაზის ზღაპარი, ბ. პილნიაკ—მთელი ცხოვრება, ა. გასტევი—ხმები, პ. კუჭუხიძე—პოეტების პარადი, ნ. კვალაძე—მარქსიზმის შემოჭრა საქართველოში, შ. რადიანი—პიროვნების როლი ხელოვნებაში, პ. ქიქოძე—„კლასიკების“ სექსუალური ნაციონალიზმი, დ. ნ-ი—პარიზის კომუნა, ა. ი.—წარსულის ერთი საშინელება, ა. კალაძე—სოფლის პრობლემა და მისი ეკონომიური შინაარსი, არ. მურაჩაშვილი—ერის წარმოშობა, შ. შეწირული—საბჭოთა წესწყობილება, ი. ჩხენკელი—დარვინიზმი ანუ სახეების წარმოშობის ევოლიუციონური თეორია, შ. სიხარულიძე—შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, გ. ბარნაბიშვილი—სიბერისა და სიკვდილის საკითხი, ვინი — რადიო-გადაცემის შესახებ, გიო—ტყე და ადამიანი, მ. თოიძე—ჩემი დაკვირვებანი სამხატვრო ხელოვნებაზე და სხ. ჟურნალი დასრულებულია და ღირს ერთი მანეთი.

— **ვერის მუშათა კლუბში** დაარსდა ქართლ-კახური სიმღერების მოსამზადებელი გუნდი ქალვაჟთათვის დამსახურებული ლოტბარი ქალი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით ორშაბათობით და პარასკევობით საღამოს 5—7 საათამდის.

ამავე დარბაზში გაიხსნა ცეკვის კურსები ს. ი. გოცირიძის ხელმძღვანელობით.

— **გამოცდები სახ. კონსერვატორ.** 30 მაისს საოპერო თეატრში დილის 11 საათიდან და საღამოს 4 საათიდან დანიშნულია კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტის კურსის დამთავრებულ მოწაფეების საჯარო გამოცდები. შესვლა ბილეთებით, რომელთა აიღება შეიძლება კონსერვატორიაში ყოველდღე დილის 9—3 საათამდის.

— **არსენ ჯორჯიაშვილის ხსოვნის საღამო.** დღეს საბჭოთა მუშაკების კლუბში გაიმართება არსენ ჯორჯიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. წარმოდგენილი იქნება: „საუნჯე“. წარმოდგენის წინ ამხ. ვაინერი წაიკითხავს მოხსენებას ჯორჯიაშვილზე.

# წესრიგის დარღვევისათვის

თბ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რაც გამოიხატა ქალაქში წესრიგის დარღვევაში და სხვადასხვა უწესოების ჩადენაში, მ.-გ. მილიციის მიერ დაპატიმრებული და დაჯარიმებული იქნენ: ხაჩატურ ტერ-ოგანეზოვი, ხაჩატუროვი გარანინ, ხეჩუმოვი ივანე, ხაჩატუროვი ანდრო, ხუბეროვი არტემ, ხაჩატუროვი კონსტანტინე, შელიუმოვი თედორე, დავიდოვი რაფიელ, ბალდასაროვი ანტონ, დაროვსკი ვლადიმერ, დეკანოზიშვილი გეორგი, დემუროვი არამ, ეგიაზაროვი დავლარ, ვართანოვი ნერსეს, გაგნიძე კონსტანტინ, დავიდოვი მარკ, გავრილოვი გრიგოლ, გარენიუკი ვიქტორ, ალხანაშვილი ივანე, არუთინოვი ბაგრატ, სტეპანოვი ივანე, სანაიძე ივანე, სიმონიანცი იაკობ, ახვერდოვი გაიკ, ალექსანიანცი კადავან, ალაკპერ დაგი-ოღლი, სხიერელი ვასილი, ხიჯანიშვილი ვარლამ, სიდენკო სიმონ, რუსია ნესტორ, არუთინოვი სარქის, ალი ქალი-ოღლი, ხუბულური შალვა, ნერსესოვი გრიგოლი, პაპინოვი სერგო, ოგანესოვი მიხაკა, ოგანესიანცი ტიგრან. კოთჩეგაროვი ალექსანდრე, კაპანაძე ვლადიმერ, კაპანაძე ნიკოლოზ, კიკალეიშვილი მიხეილი, მანველიანი მარტიროს, ილარიონოვი სიმონ, თოდაძე გალაქტიონ, ადჟამოვი ხუტო, აკოპიანი მოსე, ბეჟანოვი მიხეილ, ბიკოვი თიმოთე, ბეგიევი რუბენ, ბექტანიანცი კარაპეტ, ვართანოვი კირაკოს, ზაქარიანცი არტაშეს.

# შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 25 მაისს საღამოს მანთაშევისეულ ბაღის ახლოს იპოვეს მტკვრისაგან გამორიყულ უცნობის გვამი, რომელსაც თავზე სამი ჭრილობა აქვს.

— **თავის მოწამვლა.** 25 მაისს შერმეტიევის ქ. № 24 ოჯახურ უსიამოვნების გამო თავი მოიწამლა ალექსანდრა ზუბიევმა.

— **ჯიბგირობა ეკლესიაში.** 24 მაისს კოლონოვის ქუჩის ბოლოში მდებარე ეკლესიაში მოქ. მიხეილ ბალდასაროვს ჯიბიდან ამოაცალეს ვერცხლის სათუთუნე.

— **სამკერვალოს გაქურდვა.** 23 მაისს სასამართლოს ქ. № 2 ბორის ბლიუმბერგის სამკერვალოდან მოიპარეს 100 მანეთის ნივთები.

— **შეპყრობა** 25 მაისს შეიპყრეს ვინმე კარაპეტ კარაპეტიანცი, რომელმაც ცენტრ. ბაზარში მოიპარა ტანსაცმელი.

— **ოქროს ფულის მოპარვა.** 24 მაისს, კომუნალური ქ. № 33 მოქ. ზამუელ ხარაბიანცის ბინიდან მოიპარეს 250 მანეთის ოქროს ფული. ეჭვით შეიპყრეს ვარსენიკ მელქონიანცი.

— 25 მაისს დილით ლენინის ქ. № 17 გაქურდეს ილია ბეზარაშვილის ბინა. წაიღეს კოოპ. საზ—ბა „წინანდალი“-ს 2 [illegible] მანეთიანი ვექსილი, გაცემული ბეზარ[illegible]ლის სახელზე და 100 მანეთი ფულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა ცხოვრება

## მოუღეთ ბოლო ასეთ თვითნებობას.

(„უცდ“-ეს ამხ. ივანოვის საყურადღებოდ).

რკ. გზის მთავარ სახელოსნოების კანტორის მოხელეების ერთი ჯგუფი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან წარმოებასთან და მუშაობენ 8 საათს, ჯილდოთ ღებულობენ საამქროების საშუალო შემოსავლის პროცენტს (იხ.—მოსკოვის „გუდოკ“-ში“ № 13 (1397) ა | წ. 16 იანვრიდან ბრძანება № 47), სადაც ნათქვამია, რომ ზემოხსენებული ჯილდო ვრცელდება ა | კ. რკ. გზებზე ა | წ. 1 იანვრიდანო. მაგრამ „წევის სამსახურმა“ ეს ბრძანება დაამახინჯა და ხსენებული ჯილდო 1-ლ მარტიდან გამოგვიწერეს. წინააღმდეგ მეორე განმარტებისა იგივე „გუდოკი“ № 106 (1490) ა | წ. 12 მაისიდან) ამგვარად ჩვენ ანგარიშზე სალაროს მოჭირნეობას ეწევიან, მაშინ, როდესაც ისინია ხელოვნურ მივლინებებს აჩენენ და ამით დაუზოგავად ანადგურებენ ამავე სალაროს.

ნუ თუ კავშირიც გვღალატობს?

ამხ. ივანოვმა კი სამუდამოდ უნდა მოსპოს ცენტრის ბრძანებების დამახინჯება სამმართველოში და მოგვაშოროს ჰინჭული მომჭირნენი.

მუშკორი ზიხელი.

## სახლები ინგრევა

(აღმასკომის საყურადღებოდ)

მთაწმინდაში (მე-2 უბანში) პრიუტის შესახვევში დაზიანებულია შემდეგი სახლები № 9, 11 და 13. ამ სახლების კედლები გამონგრეულია, აივნები სიძველისაგან ჩამომპალია. შენობებს პატრონები არ უჩანან; შიგ მცხოვრებლებს საშიში საფრთხე მოელით თუ სასწრაფოდ ყურადღება არ მიაქცია აღმასკომმა. წვიმების დროს პატარა ნაწილი უკვე ჩამოიქცა.

მუშკორი გ. ში.

## ჩვენი მუშკორების ექსკურსია

კვირას 24-ს მაისს „კომუნისტი“-ს მუშკორები გავემგზავრეთ მცხეთაში ამხ. გაბო მალაშხიას ხელმძღვანელობით და დავათვალიერეთ „ზაჰესის“ სამუშაოები, რომელიც სიხარულს და აღფრთოვანებას ჰგვრის ყოველ მნახველს. ისტორიას არ ახსოვს საქართველოში ასეთი დიდი საქმე როგორიც არის „ზაჰესი“, აგრეთვე მოგვიხდა ძველი ისტორიული ნაშთების დათვალიერებაც.

დიდად ნასიამოვნებნი, ჩვენ საღამოს დავბრუნდით თბილისში.

მუშკორი კალამი.

## მოაგვარეთ ეს საქმე

(საბჭოთა მუშ. კავშირის საყურადღებოდ)

საბჭ. მუშ. კავშირის მიერ დაარსებულ საკ. საკ. კოოპერატიულ სკოლაში ცოტა ხნით ქართველების თხოვნით იყო გამოყოფილი ქართული უჯრედი. მაგრამ შემდეგ ისევ რუსულ უჯრედს შეუერთეს. ნახევარზე მეტ ქართველ-მსმენელს რუსული ენა კი არ ესმის, ამიტომ საჭიროა ეს ქართული უჯრედი ისევ გამოყოფილ იქნეს.

ინფ. ირ. გურაშვილი.

## სახლის პატრონები მოაჭკვიანეთ

მე-9 უბნ. სანიტ. ექ. საყურადღებოდ

კაჩუბეევის ქ. № 9 სახლში ფეხ-ის ადგილი დანგრეული და გაფუჭებულია, რის გამო მდგმურები შეწუხებული არიან.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

მუშკორი კიხე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გაზ. „კომუნისტი“-ს 111 №-ში მოთავსებულია ინფ. დამსწრეს წერილი აღმასკომის 1 საბჭოთა სახლის კომენდანტის ლოთობის და მუშა-მოსამსახურეებისადმი უდიერათ მოპყრობის შესახებ.

უნდა მოვახსენო ამხ. დამსწრეს, რომ მისი წერილი შეიცავს სრულ სიყალბეს. არასოდეს მე მუშებისათვის ხელი არ დამირტყამს და არც ვინმე წასულა ჩემს შესახებ საჩივლელად. როგორც 20 აპრილს. ისე სხვა დროსაც მე მინები არ ჩამიმტვრევია, არც უშვერი სიტყვებით და ლანძღვა-გინებით გავმასპინძლებივარ მოსამსახურეებს, რასაც დაამტკიცებენ ადგილობრივი მუშები და მოსამსახურეები.

დასასრულ, ვგრძნობ რა თავს შეურაცხყოფილად, ვიწვევ ამხ. დამსწრეს სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით მედიატორებად ვასახელებ სახ. კვების კავშირის პ | მგ. მდივანს ამხ. მირიან უნგიაძეს და არჩილ ციციშვილს. ვადას გაძლევთ დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა ხუთ დღეს. საქმე გაირჩეს ადგილობრივ. დადგენილება სამედიატორო სასამართლოსი მოვითხოვ გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები მივმართო ოფიციალურ სასამართლოს.

სასახლის სასტუმროს გამგე ქ. დანელია.

# პროვინციაში

## ჩვენი სოფლის ავ-კარგი

### სოფ. აბაშა (გამოჩინებულის თემი)

სოფელი აბაშა კულტურულად ძალიან მოიკოჭლებს და მას არ ემჩნევა ის წინსვლა, რომელიც უნდა ახასიათებდეს სოფელს საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამ სოფელში დუქნიც კი არ არის. გლეხი ყოველგვარი წვრილმანის საყიდლათ სადღაც საჯევახოში, 6—7 ვერსის მანძილზე უნდა წავიდეს. ამ სოფელში ითვლება 180 კომლი მცხოვრები და აქეთ ერთი სასწავლებელი, რომელიც საშუალო ადგილს მოშორებულია და ამის გამო ზოგიერთი კუთხის ბავშვებს ძლიერ უჭირთ სკოლაში სიარული, განსაკუთრებით ზამთარში.

ამ ნიადაგზე ხშირია უკმაყოფილება: ნაწილი მცხოვრებთა მოითხოვს სკოლას საშუალო ადგილზე, ნაწილი წინააღმდეგია, რაც იწვევს უნაყოფო კინკლაობას, კუთხურ ქიშპობას და ჯიუტობას, რაც ყველასათვის საზარალოა.

აქვეა ქოხ-სამკითხველო, რომელიც ხან ერთ ადგილას გადააქვთ, ხან მეორეს, შიგ კი გაზეთები არ მოიპოვება და ის დღეს თითქმის უპატრონოდ ლპება გადატან-გადმოტანაში. ამ სოფელს ინტელიგენტური ძალებიც ჰყავს, მაგრამ ისინი სალათას ძილს მისცემიან და ჩვენ ჩამორჩენილ სოფელს არ ეხმარებიან თავისი ცოდნით.

კარლო მურავიოვი.

## პრიუტის თემი

(თბილისის მაზ.)

პრიუტში არსებობს მანგლისის „ეპოს“ განყოფილება. ჩვენს კოოპერატივს არ უგზავნის მანგლისის „ეპო“ პირველ მოთხოვნილების საგნებს, როგორიცაა მაგალითად, ნავთი, მარილი, საპონი და იაფფასიანი ფართლეულობა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი გლეხებისათვის. ხშირად მოაქვს ჩვენს კოოპერატივს ისეთი საქონელი, რომელსაც სრულებით არ საჭიროებს აქაური გლეხობა და გაუსაღებელი რჩება; რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს საქონელი ისევ უკან ბრუნდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მანგლისის „ეპოს“ გამგეობა ვერ აწვდის ჩვენს კოოპერატივს თავის დროზე საქონელს. როდესაც მანგლისის „ეპო“ ღებულობს ცეკავშირიდან საქონელს პრიუტის კოოპ. გზით გავლით არ უტოვებს და მიაქვს პირდაპირ მანგლისში, შემდეგ კი მანგლისიდან 24 ვერსის მანძილზე აბრუნებს უკან, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს და დაგვიანებას. აღნიშნული ხარჯები ყველა ემატება კოოპერატივის საქონელს. ამისათვის საჭიროა, როცა მანგლისის „ეპო“ საქონელს მიიღებს ცეკავშირიდან, გზაში დასტოვოს პრიუტის კოოპერატივისათვის. მანგლისის „ეპოს“ აქვს პურის საცხობები, სადაც ცხვება საკმაოდ პური ყოველ დღე პრიუტის განყოფილებას კი არასოდეს არ აწოდებს პურს, რის გამოც დიდ გაჭირვებას განიცდიან—უპურობის გამო როგორც გლეხები, ისე საბჭოთა მოსამსახურეები.

ი. ღლონტი.

# პროვინციის ქრონიკა

— თელავის დამზღვევ სალარომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სათანადო დაწესებულებების წინაშე, რომ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც თვეში ღებულობენ 25—30 მანეთს და გაიგზავნებიან დასასვენებელ სახლებში, მიეცეს კვების ფულად 50—75 კაპ.

— **წამლების გაცემა.** თელავის მაზრის დამზღ. სალარომ დაადგინა სთხოვოს ჯანმრთელობის ინსპექციას, რათა დაზღვეულებს წამლები მიეცეს მაზრის ყველა აფთიაქებიდან.

— **საზოგადოებრივი ხვნა-თესვა.** ბორჩალოს მაზრის გლეხკომებმა ჩაატარეს საზოგადოებრივი ხვნა-თესვის კამპანია, საკუთარი ფონდების გასაძლიერებლად.

— **ბარიტის დამუშავება.** ლეჩხუმის აღმასკომს განზრახვა აქვს მიიღოს ტექნიკური ზომები ბარიტის მადნების გაუმჯობესებით დასამუშავებლად.

— **აგარაკი ურავი.** სოფ. ურავის (ქვემო რაჭა) აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სამ. აღმასკომის წინაშე, სოფ. ურავის აგარაკისა და აბანოს მოწყობის შესახებ.

— **ბორჩალოს** მაზრაში ამ ჟამად მოწყობილია და მუშაობს 158 გლეხკომი.

— **შორაპნის** აღმასკომის ხელმძღვანელობით ამ ჟამად სწარმოებს დაჩქარებული მუშაობა მდ. ჩლაბურზე ხიდის ასაგებად.

ტირაჟი — 20.424

# ჩვენი ფოსტა.

**ახალსენაკი,** კონტრაგენტს დ. ესებუას. არც გ. მარშანიას ხელით და არც ფოსტით არ მიგვიღია თქვენგან კოლექტიური ხელის მომწერთა სიები; ამიტომ არ გეგზავნებათ „კომუნისტის“ დამატებანი. მომავალში, თუ გეყოლებათ ასეთი ხელისმომწერნი, უეჭველად გამოგვიგზავნეთ უშუალოდ ჩვენი კანტორის სახელზე, მათი სიები, ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული; მაშინ თავის დროზე მიიღებთ უფასო დამატებებს.

**სამტრედია,** გაერთიანებულ ადგილკომს. გაზეთები უკლებლივ გეგზავნებათ, გამოგეგზავნათ აგრეთვე 15 მაისის №, რომელზედაც თქვენ იწერებით. ჩვენ კანტორას არა აქვს საშუალება ხელმეორედ გამოგიგზავნოთ 150 ც. გაზეთი „კომუნისტისა“ 15 მაისის თარიღით №№-ის უქონლობის გამო.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

თბილისის კომიტეტი პარასკევს, 29 მაისს იძლევა წინადადებას

**ერთიან პარტიულ დღეს**

კომუჯრედის კრებებზე დღის წესრიგში წამოყენებული იქნეს:

**მე-XIV-ე პარტკონფერენცია და კოოპერაცია.**

უმაღლეს სასწ. უჯრედებში ჩატარებულ იყვეს მოხსენებანი:

**„სოფლად მუშაობა და უმაღ. სასწ. მოწაფეთა ამოცანები საზაფხულო პერიოდში“.**

პარტკონფერენციის რეზოლიუციების მიღება შეიძლება საბშაბათს, 12 საათიდან რაიკომებში.

თ. კ. მდივანი ასრიბეკოვი.

— ოთხშაბათს, 27 მაისს, საღამოს 6 ს., რაიკომის შენობაში მოწვეულია რემედასის რაისაბჭოს პლენუმი უჯრედების მდივნების თანადასწრებით.

დღის წესრიგი: 1) მთავარ სახელოსნოების და დეპოში უჯრედების მუშაობის შესახებ, 2) უჯრედების მუშაობის მეთოდებზე და ფორმებზე, 3) უჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ, 4) მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა რაისაბჭოს წევრებისა და უჯრედების ყველა მდივნებისათვის.

საბჭოს მდივანი—შველიძე.

კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება დღეს, 27 მაისს სწორედ შუადღის 1 საათზე, კომიტეტის ბინაზე შესდგება

**საორგანიზაციო კოლეგიის**

მორიგი სხდომა.

დასწრება სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრებისათვის.

დღის 2 საათზე გაირჩევა ახლად მიღებულთა განცხადებანი და აგრეთვე საკონფლიქტო ხასიათის განცხადებანიც. ამიტომ უნდა გამოცხადდეს ყველა ის ამხანაგები, ვის მიერაც მოცემულია განცხადება.

ოთხშაბათს, 27 მაისს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის აგიტპროპორგანიზატორების თათბირი საშეფო კომისიებთან ერთად.

დღის წესრიგი: საინსტრუქციო მოხსენება ამხ. **ასრიბეკოვისა „საშეფო კომისიების დანიშნულებასა და მიზნების შესახებ“.**

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

ქ. **რაიკომ-ს საგ.-საპროპ.** განყოფილება.

დღეს, 27 მაისს, სრულ 2 საათზე ლენინის რაიონის ქალთა განყოფილებაში დანიშნულია ორგანიზატორ ქალთა თათბირი, დღის წესრიგში 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა ორგანიზატორების სავალდებულოა.

— არსრაიკომი იუწყება: ხუთშაბათს, 8 მაისს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა გამოცხადდენ ყველა ქვემო-ჩამოთვლილი ამხანაგები. ვისაც მათ წინააღმდეგ მოეპოვება რაიმე საბუთები, ვთხოვთ, აუწყონ რაიკომში.

ხაჩანოვი მარტინ, მაისურაძე ნიკოლოზ, გაბიბოვი გაბრიელ, დრაჩენკო ივან, ზანგურაშვილი ალ., კირტაძე ბართლომე, სხირტლაძე სვიმონ, პეტროსიან ანათან, თუმასოვი ვაღარშაკ, კ კულაძე გიორგი, გოგოლაური მარია, მეტრეველი ზურაბ, პეტროსიან არტემ, არაქელოვი სერგო, არუთინოვი ბადალ, ბარსეგოვი ხაჩატურ, გალუსტიან გეგამ, გევორქიანც მარტიროს, გრიგორიანც ტონო, გნეკოვსკი ალ., ჯიოევი სავვა. კუსრიევ დიანოს, ყაზაროვ გურგენ, მანუკოვი ნიკოლოზ, მუმლაძე გიორგი, მაროზოვი ვასილ, ოჰ ნეზოვ ანეპ. ოჰანოვი მამბრე, პალატნიკოვი ფეოდორ, პავლოვი ვასილ, სარქისიან გალუსტ, სტეფანიან არტაშეს, საბაშვილი ამბროსი, ტერ-არუთინოვ ჰაიკ, ხნანიევ ივან, ბაბალოვ ლევონ, ჩიხლაძე ლიუდმილა, ელიაშვილი იაკობ, იაღუბიან არამ, აპრესიან ალაბეკ, გაბუნია ლევან, მეგრელაძე ვიქტორ, ლოთაძე მაქსიმ, ხარხელუდი დავით, მთავრიშვილი იასონ, გორდაძე სილოვან, ამაშუყელი ნუბარ, ფერაშვილი ივან, პოღოსიან სარქის

მურადოვ ამაიაკ, ბეკოევ დიმიტრი, იაკობიძე ნიკოლოზ, თუმანოვ ნიხეილ, იუნონოვ იოსებ, ალხაზოვი შაულ, აბაკიძე ალ., ავეტიქოვ მარგალიტა, არაბიან პოღოს, აივაზოვ ავეტის, არუთინოვ საიდ, ვოლკოვი ვასილ, გასპაროვ არტაშეს, გერმანოზ შვილი მარია, გლურჯიძე ილია, ეგიაზაროვ იოსებ, ეგიაზარიან მკრტიჩ, ზახაროვ ლიპარიტ, ქარელიშვილი სოფიო, ყაზახაშვილი გიორგი, კევხიშვილი ლადო, კოლხიდაშვილი ზაქარია, ქურდოვანიძე ნიკოლოზ, მირიანაშვილი სოლომონ, მოსესოვ ოვანეს, მელქონიანც სურენ, მირზოიან მირზა, მურადოვ სირანუშ, მინასიან სირანუშ, ნურიჯანოვ ბაგრატი პაპავა იროდიონ, როჩიკაშვილი შაქრო, სისოევ არტაშ, სტრუკოვა ანნა, ჩებუა ვლადიმერ, საკაშვილი ივან, სტაშკოვი ვლ., სარქისოვი სარქის ტატანოვ სარქის, ტონოიან არამ, ტერ-ნიკასოვ ლიგრან, ტერტეროვ გიორგი, ხუდინოვი ნიკოლოზ, წამლაშვილი ვასილ, ჩუბინიშვილი ალ., ჭელიძე ვიქტორ, ჭარბაძე ნადეჟდა, იბრამოვი ვასილ, ელიაშვილი ზაქარია, ფოშინი პეტრე, ბაქრაძე სამსონ, მარუთიან არუთინ.

მდივნის მაგიერ წითლიძე.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამანაწ. განყოფილება წინადადებას იძლევა, დღეს, შუადღის 1 საათზე გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

**არსრაიკომში:** ჩუბანოვი არამ, დარჩიევი ვართან, ბაღდასაროვი ბენ., ავეტიქიან ბორის, ზოლოვიან გურგენ.

**ავლაბარ-ხარფუხ დან:** პარავიანცი ართავაზ, ეზიკიანც, კარაპეტიან იაკობ, შახსუვაროვი გრიგოლ, კარაპეტიანი კარაპეტ, თერგულოვი სერგო.

**ქალაქის რაიონიდან:** კაჩაროვი გრიგოლ, ტატოიანი კარაპეტ, შახნაზაროვ აშოტ, ავანესოვი ალ., ათანესოვი იპოკრიტ, სარუხანოვი ჰაიკ.

# განცხადებები

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა რიპსიმე, და ცოლი დარო, დები: ვერა და შუშანა, ძმები: ვალერიანი და ივანე მეგენეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა | წ. 24 მაისს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

## ერასტი იოსების-ძე მეგენეიშვილი

გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან ა | წ. 27 მაისს, დღით 4 საათზე.

გრიგოლ დავითის-ძე რატიშვილი, მეუღლე მარო (მარიამ) ნიკოლოზის ასული, შვილები შოთა, მირონ და რატი და რუსუდანა გრიგოლის ასული კობიაშვილისა, ქმრით მიხეილ გიორგის ძე კობიაშვილი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, 24 ამა მაისს ტრაღიკულად გარდაცვალებას უძვირფასესი სიძის

## ერასტი იოსების ძ მეგენეიშვილის

გამოსვენება საქართველოს მთავარ საავადმყოფოდან, ამა მაისის 27 ს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი: მშობლები ეფროსინე ანტონის ასული და ფარნაოზ ბექანის ძე, დები: ლარისა, ელიკო და ნუნუ და ძმები: კოკი, გოგია და გუგუშა **გაბუნიები,** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. ქ. ქუთაისში, უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს მათთვის დაუვიწყარი

## დათიკო გაბუნია

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში 28 მაისს, ხუთშაბათს.

ღრმად დამწუხრებულნი დეიდა და ბიძა: ცაცუ ანტონის ასული და ბესარიონ გრიგოლის ძე ზეიდაშვილები: ტატიანა ბესარიონის ასული ზაქარაიისა, შალვა და ირაკლი გაბუნიები და სიძე ეფრემ ფარნაოზის ძე ზაქარაია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, ქ. ქუთაისში, უდროოთ გარდაიცვალა მათივის დაუვიწყარი

## დავით გაბუნია

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში 28 მაისს, ხუთშაბათს.

ღრმათ დამწუხრებული მეგობრები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ქუთაისში მათთვის დაუვიწყარი მეგობარი სტუდენტი

## დათიკო გაბუნია

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში ხუთშაბათს, 23 მაისს.

1459 1—1

საქართველოს გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციების სალიკვიდაციო ბიურო ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ ქ. ქუთაისში უდროვოდ გარდაიცვალა სალიკვიდაციო ბიუროს დაუღალავი მუშაკი, ყველასათვის საყვარელი მეგობარი

## დავით გაბუნია

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 28 მაისს. 1458. 1—1

თბილისელი მეგობრები და ამხანაგები დასტირიან უდროვოდ დაკარგულ ძვირფას, დაუვიწყარ ამხანაგს

## დათიკო გაბუნიას

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 28 მაისს. 1458. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მამიდა და ბიძია: ბატუ თეიმურაზის ასული, კირილე ლაზარეს ძე და ჰამიდაშვილები: სერგო, ალექსანდრე, პეტრე, სიმონ, თამარა, მედეია და რძალი ანნა გიორგის ასული ოდიშარიები, ბიძაშვილი ქვაჩი გაბუნია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში უდროვოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

## დათიკო გაბუნია

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, 28 მაისს, ხუთშაბათს.

1455. 1—1

## გაზ. „კომუნისტი“

ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი:

**1. კოლექტიურ ხელისმომწერთა სიაში** სახელი, გვარი და მისამართი ხელისმომწერისა აუცილებლივ **გარკვევით და სწორად უნდა იყოს აღნიშნული.**

**2. ყოველგვარი ცნობების მისაღებად** (გაზეთის მიუღებლობა დაგვიანება და სხვა) უთუოდ მთავარ კანტორას უნდა წარუდგინოს **ქვითარი ან ეტიკეტი ამ უკანასკნელის №.**

**3. კოლექტიურ ხელისმომწერთა სიები** აუცილებლივ წარმოედგინოს მთავარ კანტორას **თავის დროზე** (ყოველთვის 25—29 რიცხვამდე) ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული.

**4. გაზეთების გამოწერის დროს** აუცილებლივ **გადახდილი უნდა იქნას წასული თვის ვალი მთლიანად.**

**5. კონტრ-აგენტებისა და პროვინციის ხელის მომწერთა მიერ გაზეთების დაკვეთა** უნდა ხდებოდეს თვის დამლევამდე, აუცილებლივ მთავარ კანტორის ხვედრი ფულის გადმოგზავნით.

**6. გაზეთის მიუღებლობის შესახებ** უნდა ეცნობოს მთავარ კანტორას დაუყოვნებლივ და არა თვის ბოლოს, რასაც ხშირად აქვს ადგილი.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

## კურორტთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 29 მაისს დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

## აბასთუმანის, ბორჯომის და წაღვერის

საზაფხულო შენობათა და მოწყობილობის იჯარით გაცემის შესახებ, რომელიც იყო გამოცხადებული (15 მაისს) გაზეთ „კომუნისტ“-ში № 109; შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება კურორტთა მთავარ სამმართველოში—მესანგრეთა ქუჩა (საპიორნი, 30, ოთახი № 22.

5—3 ნ. № 1205

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ მეჯევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—24

არარის უკეთესი
კეფირი, ვიდრე
ო. კორონასი
ლორის მელიქოვის ქ. № [illegible]
ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ 1106 25—19

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიანი
თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)
25—8

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—8

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 3.
№ 202.
25—18

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულ.
სიფილისი (606—914)
მიღება { კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.
მოსკოვის ქ. № 4
25—3 № 1432

ექიმი
მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—19

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა. სანა ხუნდაძის ქ. № 4

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № [illegible]

## შავიქვის წარმოების სამმართველოს

(რუსთაველის პრ. № 23)

## ესაჭიროება:

**საკანალიზაციო თუჯის მილები** (ან წყალსადენის 2„ — 100 ზრძ. საჟ., მილები რკინის 5„—50 ზრძ. საჟ., ფრქვევანა, სამზარეულოს ფილისათვის დიდი ზომის ქუთვნილებით—1 ცალი,

**ბაკი ნავთობისათვის 20—30 ფუთ.**

**1 ცალი**

წინადადებით მიმართეთ სამმართველოს კანცელარიას სამუშაო დღეებში.

ნის. 1226. 1—1

## ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს

ეკონომიური განყოფილება

აცხადებს, რომ სად. სამტრედიაში მოწყობილია იმ ტვირთების (ახალი ხილების და ბოსტნეულის) წინასწარ გასაციებელი სადგური, რომლებიც მალე ფუჭდებიან. ტვირთები მიიღება როგორც ადგილობრივ, ისე პირდაპირი ხაზით გადასაზიდათ.

ნ. 1225 1—1

არიფმომეტრებს და მათ ნაწილებს, ტეოდოლიტებს, ნიველირებს, კიპრეგელებს, ფოლადის ლენტებს, რულეტკებს და სხვადასხვა გეოდეზიურ ინსტრუმენტებს
ყიდულობ, აგრეთვე იყიდება | ПРОЧТИТЕ МОЖЕТ ПРИГОДИТСЯ | კოველთვის მიმართეთ
ავლაბარი, რეადოვის ქ. 22, 5-თე ვაჟთა გიმნაზიის ცოტა ზევით დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, იკითხეთ ლარინი ან დასტოვეთ თქვენი მისამართი და საგნის სახელწოდება მანველიანის მაღაზიაში, მუხრანის ქუჩა № 17. 1386 1—1

გამოვიდა წიგნი ი. მ. გალპერინის
„საფუძველი ბალანსმეტყველებისა“
(საერთო საფუძვლები აღრიცხვის უახლეს თეორიისა)
ფასი 1 მ. 25 კ. გადაგზავნით 1 მ. 50 კ.
გამომცემლობის საწყობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა (ყოფილი ოლღას ქუჩა) № 14, ზინოვიევის სახელობის პრაქტიკული საანგარიშო ინსტიტუტი. (ვ. პ. უ.)
ამას გარდა წიგნების შეძენა შეიძლება შემდეგ მაღაზიებში: 1) დუმჩენკო (პლეხანოვის პროსპექტი, კირკის ახლოს), 2) სტუდენტთა კოოპერატივი (რუსთაველის პროსპექტი, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს კანტორის ქვეშ) და 3) სხვა მაღაზიებშიც. ნ. 1184. 5—5

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—10

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს., და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—3

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—2

ექიმი
დ. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული
(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე. ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
428 25—2.

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი
ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—2

ექიმი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746 25—2

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ.
ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
ნ. 1346 25—8.

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 45644 ამბერკო ივანეს ძე ქანთარიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1454

დავკარგე პასპორტი ელისაბედ გასევას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1455

დავკარგე სიმწიფის მოწმობა ვლადიმერ ანდრიას ძე ჭუკოვის სახელზე, მიღებული ხონის 3 [illegible] გიმნაზიიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1453

დავკარგე პირადობის მოწმობა № 193 კირილე ნემიქეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1457

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 200755 და წლიური საგზავრო მატარებლის ბილეთი (пригородны) № 159279 მოცემული ფოთის ნავთსადგურის სამმართველოსაგან, კონსტანტინე ჟანტურიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1459